# დროება

ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

№ 246 ხუთშაბათი, 5 ნოემბერი 1909 წ.

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კაპ.; უკანასკნელზე—10 კაპ., სხვა ადგილებიდან კავკასიის გარეშე) მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტით ტექსტის წინ 20 კაპ., უკან—10 კაპ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა პირველ გვერდზე თითოჯერ საღამოს 4 საათამდე ღირს 3 მ, ოთხი საათის შემდეგ მეტი ეღირება.

განცხადებანი იმ პირთა, ფირმათა და დაწესებულებათაგან, რომელნიც კავკასიის გარეშე არიან, ან მთავარი კანტორები და განყოფილებანი აქვთ, მიიღება მხოლოდ სავაჭრო სახლის ლ. და ე. მეტცლ და ამხ.—ბის განცხადებათა ცენტრალურ კანტორაში მოსკოვში, მიასნიცკის ქ., ს. სიტოვისა, და მის განყოფილებებში: პეტერბურგში—მორსკაია 11, ვარშავაში—მარშალკოვსკის ქ. 130, პარიზში—ბირჟის მოედანი.

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება „დროების" რედაქციაში და კანტორაში ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან 3 საათამდე და საღამოთი 5-დან 7 მდე.

ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება. პატარა მცირე წერილებს და კორესპონდენციებს, საჭიროების შემთხვევაში, შესწორება ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები. პირადად მოლაპარაკება შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. ადრესის გამოცვლა 40 კაპ.

რედაქციის ადრესი: ტფილისი დიდი ვანქის ქ. N 12.
ფოსტის ადრესი: Тифлисъ, редакція газ. „ДРОЭБА".

**ცალკე ნომერი ყველგან ერთი შაური.**

**დამატებიანი ნომერი (კვირისა) 7 კაპ.**


## „დროების" კანტორისაგან.

წლიურ ხელის მომწერთ, ვისაც სრულად არა აქვს ფული შემოტანილი, გაზეთი აღარ გაეგზავნებათ. ● ყოველ თვის პირველ რიცხვიდან გაზეთი აღარ ეგზავნება ვისაც დამდეგ თვის ხვედრი ფული შემოტანილი არა აქვს. ● ხელის მოწერა მიიღება მხოლოდ თვის პირველ რიცხვიდან და არა ნაკლებ ერთი თვისა. ● გაზეთის ყოველ მიუღებლობაზე საჭიროა ხელის მომწერმა კანტორას აცნობოს, რომ მომავლისთვის ყურადღება მიექცეს.

---

**კნეინა მარიამ სოლომონის ასული, თავადები ილია, სოლომონ და ალექსანდრე ბეჟანის ძნი ფალავანდიშვილები** აუწყებენ ნათესავთა მეგობართ და ნაცნობთ, რომ შაბათს, 7 ნოემბერს, სოფელ ცეროვანისში (გორის მაზრა) გადახდილი იქნება წლის წირვა და პანაშვიდი ამ ერთი წლის წინად ვერაგულად მოკლულის

### თავ. ვასილ ბეჟანის ძის ფალავანდიშვილის

სულის მოსახსენებლად. ამავე დღეს განსვენებულის საფლავზე დაიდგმება ძეგლი. (1—533—1)

---

**წარმოდგენა № 14.** ქართული თეატრი **წარმოდგენა № 14.**

**ხუთშაბათს, 5 ნოემბერს, 1909 წ. აბონიმენტი მესამე.**

ქართულ დრამატ. საზოგადოების დასის მიერ წარმოდგენილი იქნება: პირველად ამ სეზონში სცენები იმერეთის ცხოვრებიდან

## „სალხინო"

სცენები 4 მოქმ. გად. ივ. ბარველის მიერ.

მონაწილეობას იღებენ ქ-ნნი: ტასო აბაშიძე, ა. კარგარეთელი, მ. ქილარჯიშვილი, ნ. ჯავახიშვილი; ბ-ნნი: ვ. გამყრელიძე, ნ. გვარამე, ი. ზარდალიშვილი, კ. მესხი, მ. საფაროვი, ვ. ურუშაძე.

**ადგილების ფასი:** ლოჟები 10 მ. 50 კ.-დან 5 მ.-მდე, პარტერი 2 მ. 50 კ.-დან 60 კ.-მდე, გალერეია 40 კ.-დან 20 კ.-მდე, მოწაფეთათვის 40 კაპ.

**დასაწყისი სწორედ საღამოს 8 საათზედ.**

მზადდება წარმოსად. „ლევან ბატონიშვილი", „ქოჩრიანი ტოროლა", „გიორგი მესამე".

მორიგი რეჟისორი **კ. მესხი.** რეჟისორის თანაშემწე **ვ. ურუშაძე.**

**დრ. საზოგადოების ადმინისტრაცია.**

---

## გამგეობა

ტფილისის სათავ.-აზ. საად.-მამულო ბანკისა

ამით აცხადებს, რომ

### რუსული ორთქლის აბანო

(აბოევისეული) რიყის ქუჩა, სკომერციო სასწავლებლის პირდაპირ

### იძლევა იჯარით და იყიდება

(5—გაჲ.—1)

---

## ტფილისის კერძო სამკურნალო

30 მუდმივი საწოლით და სამშობიარო განყოფილებით.

ღია არის ყოველ დღე გარეშე მოსიარულე ავადმყოფთათვის.

ქსენიას ქუჩ, სახლი № 7 „ვეტცელის" სასტუმროს ახლოს,

ტელეფონი № 590.

**ლამბაშიძე ვ. დ.:** შინ. და ბავშვ. ყ.-დღე; გარდა კვირა. 11-12 საათ.

**გედევანიშვილი მ. ა.** ნერ. და ელექ., ორშ., ოთხშ., და პარ. $10^1/_2$—11 ს.

**გურკო გ. ა.** შინაგ. შაპ. 1—2 ს. და კვირას 11—12 ს.

**კარშინი. ა. ა.** კან. და ვენ., ყოველ დღე კვირას გარდა $2^1/_2$—$3^1/_2$ ს.

**მაღალაშვილი გ. გ.** შინ., სამშ. და შაბ. 10—12 ს.

**ქიქოძე ტ. ს.** შინაგანი. ორშ. და ოთხშაბ. 9—10 ს.

**მანსვეტოვი ვ. მ.** შინ., ორშ., ოთხშ., და პარას. 1—2 ს.

**მელიქიშვილი. ნ. მ.** ქირურ. და დედაკაც. ყოველ-დღე 12—1 ს.

**მუსხელიშვილი ვ. ს.** თვალის, ორშ., ოთხშ. და პარას. 2—2-ნახ. ს.

**ფირადოვი რ. ბ.** ქირურ. ყოველ-დღე 11—12 ს.

**პაპოვი ბ. ა.** ყურ., ყელის და ცხვი., ყოვ. დღე, გარდა პარას. 2—2-ნახ. ს.

**რცხილაძე. ნ.** კბილ. ყოველ დღე. 9—10 ს.

**სობოლევსკი გ. ვ.** ქირურ,. ყოვ. დღე, 9—11 ს.

**თიკანაძე ი. ე.** დედაკ. და საბებიო ყოველ დღე 1—2. ს.

სამკურნალოს აქვს მოწყობილი საკუთარი მიკროქიმიურ. და ბაქტეროლოგიური ლაბორატორ. რომელსაც განაგებს ექიმი ე. გ. ფედოროვი.

რჩევა ღირს 50 კ., საწოლები 2 მანეთიდან დაწყებული. ოპერაც. კონსულტაც., ელექტრონით წამ., მასსაჟი, ყვავილის აცრა, ძიძათა შემოწმება და სხვა შეღავათ. საფასურით. (100—ნ.—30)

---

## ვაგზლის კერძო სამკურნალო

გარედან ყოველ დღე მოსიარულე ავადმყოფთათვის.

ვოგზლის ქუჩა, № 8, ს. ენფიაჯიანცისა, ტელეფონი № 695.

**ს. ვაშაყმაძე**—ყოველ დღე 9—11 ს. კბილის ავადმყოფ.

**ი. გ. გომართელი**—ყოველ დღე, შინაგ. და ბავშვ. ავად. 2—3 ს

**ა. ნ. დიასამიძე**—ყოვ. დღე, $11^1/_2$—$12^1/_2$ ს. სიფილისი, კანისა და ვენერ.

**ნ. მ. მელიქიშვილი**—ყოველ დღე, ქირურგ. და ქალებისა, 1—2. ს.

**ვ. ს. მუსხელიშვილი**—სამშ., ხუთშაბ., და შაბათ. 2—$2^1/_2$ ს. თვალისა.

**ბ. ა. პოპოვი**—ყელ., ყურ. და ცხვირ. ყოველ დღე 12—1 ს.

**ე. გ. ფედოროვი**—ყოველ დღე, ოთხშ. და კვირის გარდა, 11—12 ს. შინაგანი და ბავშვების ავადმყოფობანი

მიკროსკოპიული, ბაქტეოროლოგიური და ქიმიური გამოკვლევანი; აგრეთვე ყვავილის აცრა და ძიძების გასინჯვა- ფასი რჩევისათვის 50 კაპ.

ოპერაციები და კონსილიუმი მორიგებით. (წლ.—ნ.—197)

---

ამით ვაუწყებ პატივცემულ საზოგადოებას, რომ თავად-აზნაურთა საადგილ-მამულო ბანკის ხელში გადასული

## რუსული აბანო

აბოევისეული

რიყის ქ., საკომერციო სასწავლებლის პირდაპირ გაიხსნა. არის ნომრები ელექტრონის განათებით. არის საერთო აბანოები. კეთილ-შობილთათვის და ჩვეულებრივი, ქალებისა და კაცებისა, აგრეთვე სალდათებისათვის. მსურველთ შეუძლიანთ იქონიონ აბონიმენტები დაკლებულის ფასით.

აბანო მოქმედებს დილის 6-დან ღამის 12 საათამდე. ტელეფონი № 718. (5—522—5)

---

## სამკურნალო

**ექიმთა საზოგადოებისა**

მუდმივ კრაოტებით.

მიხეილის პრ., 59. ტელეფონი N 1026.

**ავადმყოფთა მიღება:**

**მ. ალაჯალოვი**—საშარ. სიფილ. და კან. 11—12 საათ.

**ნ. ათენიანცი**—ყურ., ცხვირ. და ყელ. 1—2 ს.

**ვ. ვნუკოვი**—ქირურგიული ავად. 1—2 ს.

**ი. ეგიაზაროვი**—ნერ და შინ. 11—12 ს

**მ. კიმონტი**—ქირურგ. ავად. 11—12 ს.

**მ. მაგაკიანი**—შინაგ. და ბავშ. 10—11 ს.

**ლ. მონინა**—ქალის ავად. და ბებიაობა 1—2 საათ.

**ა. კალმიკოვა-ვნუკოვა**—ქალის ავად. 2—3 საათ.

სამკურნალოსთან ელექტრონით ექიმობა. მასაჟი; მიკროსკ., ბაქტეორ. და ქიმიური გამოკვლევანი. ყვავილის აცრა. ძიძების გასინჯვა. ფასი რჩევისთვის 50 კ. ოპერაციები და კონსულტ. შეთანხმებით. საავადმ. განყოფილება შესდგება საზოგ. პალატებისა და ცალკე ნომრებისაგან. (100—ზალ.—51)

---

## სამკურნალო

სპეციალისტ სამხედრო ექიმებისა გარეთან მოსიარულე ავადმყოფთათვის.

ვანქის დიდი ქუჩა, N 3. ალექსანდრეს ბაღის მახლობლად. ტელეფონი N 483.

**ფასი რჩევისათვის 50 კაპ.**

ავადმყოფთა მიღება 11-დან 5 ს.-მდე.

**რიდელი**—ბავშვ. შინ. ყოველდღე 3-4ს.

**თეთრაძე**—სიფ , ვენერ., კან. ყოველდღე 1—3 საათ.

**პავლოცკი**—ქირურგ. ყოველდღე 4—5

**იოსელიანისა**—ქალ. ავად., ორშაბათ, ოთხშ., პარას., კვირა 11—12 საათ.

**ბოჟოვსკი**—შინაგანი ჰიპნოზი. ყოველ დღე 4—5 საათ.

**ჩუდნოვსკი**—ნერვებ,' სულ.-ავ. ელექტრ. ორშ. ოთხშ. და პარასკ. 4—5 მ.

**ერმოლაევი**—ბავშვ. ყ.-დღე 1—2 ს.

**ვნუკოვი**—ქირურგ. ყოველდღე 2—3.

**ნოვიცკი**—პებ., ქალ., ყოველდღე 1—2

**ახვლედიანი**—შინაგ. და ბავშვ. ყოველ დღე 11—$12^1/_2$ საათ.

**კალიამქაროვი**—ბებ., ქალ., ყოველდღე კვირის, გარდა 4—5 საათ.

**ბალდინა-ნოვიცკაია**—ცხვ. ყელ. ყურის. $11^1/_2$—$12^1/_2$ საათ.

**ასპიროვი**—ცხვ. ყელ. ყურ. 1—2 ს.

კონსულტაცია, მასაჟი, ყვავილის აცრა, ოპერაცია, ანალიზი, ჰიპნოზი, ძიძებისა და მოსამსახურეთა გასინჯვა შეთანხმებით. სიფილისის (ათაშანგის) გამოკვლევა სისხლში პროფ, ვასსნარის შრატით. (00—ნ.—113)

---

**ქ უ თ ა ი ს შ ი**

კბილის ექიმის **დ. ს. რიჟინაშვილის** კაბინეტთან **გ ა ი ხ ს ნ ა**

## სამკურნალო

პირისა და კბილების სენისა. პლომბები, ჩასმა ხელოვ. კბილებისა, გადაკეთება, კბილების ამოღება და სხვა ოპერაციები უტკივრად. ნიშრი მთავრობისაგან დამტკიცებულია. მოსიარულე ავად. მიღება ყოველ დღე დილის 8-დან საღ. 7 ს.-მდე, პუშკინის ქუჩა, საკ. სახლი, N 28. **ვიტუშინსკის** აფთიაქის გვერდით. (100—ნ.—35)

---

**ექიმი** კ. ს. ფონ-ირტელი

არჩენს სპეც. ქირურ., სამ., ვენერ., სიფ., ქარ. და კანის ავადმ. (სქეს. ემლ., სისუსტ., ქრონ. ტრიპერი, სიფ. მედეგი, ბუასილი და სხვ.) დილ. 9—11 ს., საღ. 5—8 ს. ვორონ. მეგლ., მონუმენტის მეხ. N 5, ს. შაფრანოვისა, ბუფ. გვერდზე. (100—ზალ.—39)

---

**ექიმი** ვასილ წერეთელი

**ქ უ თ ა ი ს შ ი**

იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფებს. საღამოს 4—6 საათზე. ივანოვის ქ., მოსე ქიქოძის სახლი. (0—უ.—40)

---

**ექიმი** სპეციალისტი ქ. ქუთაისში **ჩ ა რ ე ქ ო ვ ი**

იღებს განსაკუთრებით ს ი ფ ი ლ ი ს ი ა ნ, ვენერიულ და კანით ავადმყოფებს. ილია ჭავჭავაძის ქუჩა (გეგუთის ქუჩა) აბულაძის შესახვევი, იოსელიანის სახლი. დილით 12—2 ს., საღამ. 5—6 ს. (25—ფ.—21)

---

**ექიმი** ე. ვაშაკიძე

იღებს შინაგან სნეულებით ავადმყოფებს. დილით 8—9 ს., საღამოთი 5—7 ს. ბელინსკის ქუჩა, N 18 ყოფილი კირპიჩნაია). (0—44)

---

**კაბინეტი** ელექტრონის და რენტგენის სამკურნალოსი **მ. გედევანიშვილისა.**

იღებს ავადმყოფებს დილით 12—1 ს. საღამოთი 6—საათ. ვერა ყორღანოვის ქუჩა, საკუთ. სახლი, N 20, ტელ. N 791. (0—ნ.—98)

---

**ექიმი** ლ. ნ. ოჯანჯანოვი

ყოფილი ასისტენტი პროფ. ნიცისა ბერლინში, სპეციალურად: **საშარდეს, სიფილისის, ვენერ. და კანის ავადმყოფობანი.** დილით 9—11 ს., საღამოთი 6—8 ს. ბავშვები და ქალები 11—12 ს. კადეტის ქ., N 2. (გოლოვინსკის კუთხე). (100—ზალ.—53)

---

**ექიმი** კბილისა ქუთაისში **ნ. ა. დ ე მ ი დ ო ვ ი**

იღებს ავადმყოფებს ყოველ დღე დილით 8—2 ს. საღამოთი 4—7 ს. პლომბის გაკეთება, კბილის ჩასმა და პროტეზები. აბდონის ქუჩა, N 14, სახლი დემიდოვისა, (0—586—287)

---

**ექიმი** ქუთაისში **კ. თ. ტყეშელაშვილი**

იღებს შინაგან და **სპეციალურად ვენერიულ** სნეულებით ავადმყოფთ (სუსუნატი, სიფილისი, საშარდე მილის, ბუშტის და თირკმელების (ჭაჭების) სატკივარი, დილით 9—12, საღამოთი 5—7; კვირაობით მხოლოდ დილით. ტფილისის ქ., სახლი ფირალოვისა. (0—ჰ3—95)

---

## მებაღეობა

### ძმ. ავსარქისოვებისა

იყიდება ხეხილის ხეები საუკეთესო საზღვარ-გარეთელ და ადგილობრივ ჯიშებისა. არის აგრეთვე დეკორატიული მცენარეები. კატალოგი ეგზავნება ყველას უფასოდ პირველ მოთხოვნილებისათანავე.

ადრესი: Ст. Скра Закавк. К. Жел. Дороги, (15—ფ—3)

---

მიიღება ხელის მოწერა **ახალ ყოველ-დღიურ რუსულ გაზეთ**

## „ნოვაია რეჩ"-ზე

ცალკე ნომერი—3 კაპ.

ხელის მოწერის ფასი 1 თვით—50 კაპ.

**გაზეთი გამოვა 5 ნოემბრიდან.**

ადრესი: Тифлисъ. Дворцовая, д. Груз. Дворянства. Ред. газ. „Новая Рѣчь".

რედაქტ.-გამომც. **პ. ა. გოთუა.**

---

**ექიმი** ა. ნ. დიასამიძე

კანისა და ვენერიულ ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე დილით 2—1 ს. საღამოთი 6—8 ს. ხუთშაბათობით მხოლოდ დილით 8—9 ს. კვირაობით ავადმყოფებს არ იღებს. მოსკოვის ქ., N 4, სახლი გაბაშვილისა. (უ)

---

**ექიმი** კბილისა **ნინო რცხილაძე**

იღებს ავადმყოფებს დილით 10—2 ს., საღამოთი 5—7 ს. ვერა, ოლგას ქუჩა N 25.

---

# ახალი ამბავი

## ტ ფ ი ლ ი ს ი

✦ **ჩამოსახლება.** როგორც დუშეთის მაზრიდან გვატყობინებენ, პეტერბურგში მცხოვრებ გენერალს თავ. ალექსანდრე მუხრანსკის მოლაპარაკება გაუმართავს რუსის გლეხებთან ადგილების გაყიდვის შესახებ. თავ. მუხრანსკის სახნავი, საბალახო და სამოსახლო ადგილები აქვს დუშეთის მაზრის სოფელ ჰადი-ჯვრის მიდამოებში და ამ მამულების გაყიდვას აპირებს. საზოგადოდ, ამ ბოლო დროს რუსის გლეხებმა ძალიან მოაშურეს ჩვენ ქვეყანას. კვირა არ გაივლის ისე, რომ რუსეთიდან მოსულ „ხოდოკებს" არ შეჰხვდეს კაცი. „ხოდოკები" მოდიან ტფილისში, აქ ჰკრებენ ცნობებს, რომელი მემამულე ჰყიდის მამულს, შემდეგ ადგილებს ათვალიერებენ და ურიგდებიან პატრონებს. თავ. ანდრონიკაშვილს გარეთ-კახეთის მამულში რუსის გლეხებმა მარტო ბედ 15,000 მან. მისცეს. ამბობენ, ამ გლეხებს ეხმარებიანო. ამ ბოლო დროს გერმანელებიც ძალიან დაფაცურდნენ თავისუფალ ადგილების შესაძენად. გარდა იმისა, რომ თრიალეთში მრავალი ქარხანა გამართეს იჯარით აღებულ მიწებზე, გერმანელები დიდ ადგილებსაც ყიდულობენ და ზედ მთელი სოფლები შენდება. გერმანელებს დიდად ხელს უწყობს, როგორც გავიგეთ, ტფილისში მცხოვრები გერმანელი ინტელიგენცია. ამ ჟამად გერმანელებს მოლაპარაკება ჰქონიათ დუშეთის მაზრის მემამულესთან, ერთ-ერთ თავ. მუხრანსკისთან. მათ უნდათ ერთი სოფლის გასაშენებლად შეიძინონ რამდენიმე ათასი დესეტინა ადგილი.

✦ **ქართველ-სომეხთა ფილოლოგების კონგრესი.** როგორც პეტერბურგიდან გვატყობინებენ, სამეცნიერო აკადემიის საისტორიო-საფილოლოგო განყოფილებას თავის უკანასკნელ სხდომაზე, ამა წლის 14 ოქტომბერს, გადაუწყვეტია, მიიღოს თავის მფარველობის ქვეშ ქართულ-სომხურის ფილოლოგიის მუშაკთა კონგრესი. მანვე მიანდო აკადემიკოსს ნ. იაკ. მარრს, აწარმოოს ეს საქმე საიმპერატორო სამეცნიერო აკადემიის სახელით უშუამავლოდ ან და აკადემიის მდივნის შუამავლობით. ამნაირად, მოსალოდნელია, რომ კონგრესის მოსამზადებლად შემდგარი ტფილისის კომიტეტი ამ მოკლე ხანში მიიღებს ოფიციალურ ნება-რთვას კონგრესის დანიშვნის შესახებ.

✦ **სტიპენდიები.** 3 ნოემბერს მოხდა ტფ. ქალაქის სასწავლებელთა გამგე კომისიის სხდომა. კომისიამ, სხვათა შორის, კენჭი უყარა სტიპენდიის დასანიშნავად კანდიდატებს. ტფ. ქალთა მესამე გიმნაზიაში სამი სტიპენდია იყო თავისუფალი. 140 მთხოვნელიდან კომისიამ გამოარჩია რამდენიმე ღარიბი. კენჭის ყრით სტიპენდიანტებად ჩაირიცხნენ მოსწავლენი პავლიაშვილი, ჯეირანოვი და გეცი.

✦ **ჯიბგირები და ქურდ-ბაცაცები.** საოცრად გამრავლდნენ ტფილისში ქურდ-ბაცაცები და ჯიბგირები. ჯიბგირებმა კარგად იციან, რომ ფრთხილ და გამოცდილ ქალაქელებს ვერას დასცინცლავენ, ამიტომ მთელ თავიანთ ყურადღებას სოფლებიდან ჩამოსულ ხამ ხალხს აქცევენ. ჯიბგირები უმთავრესად თავს იყრიან იქ, სადაც ხალხის დიდი მოძრაობაა. სადგურზე, კარაპეტ ცოვის ხიდთან, კახეთის მოედანზე, ვერის მოედანზე, ყანთართან, ვაგონების სადგურებთან და იმ ადგილებში, საიდანაც ქალაქში სოფლელნი მოდიან სანოვაგით. მთელი ხროვა ჯიბგირებისა და ჩარჩებისა სდგას ხოლმე სომხის სემინარიის ადგილში, შუა ბაზარში, ახლად გამართულ სავაჭრო მოედანზე. სოფლებიდან ბევრს ჩამოაქვს აქ ხილი და სხვა ნაწარმოები განასყიდად. მთელი ბრბო ჯიბგირებისა და ჩარჩებისა მოსვენებას არ აძლევს გლეხებს. დღე არ გაივლის, რამდენიმე სცენა არ მოხდეს გლეხებსა და ამ ვაჟბატონებს შორის. ჩარჩებსა და ჯიბგირებს თავიანთი გააქვთ, რადგან გლეხებს ვერც პოლიცია და ვერც სხვა ვინმე დახმარებას ვერ უწევს. ერთმა ჯიბგირმა ერთ გლეხს მოჰპარა სამი მანეთი. გლეხები მისცვივდნენ. ჯიბგირმა სამ მანეთიანი მიმალა და დაიწყო ფიცი, მე არ მომიპარავსო. ჩხრეკის შემდეგ ჯიბგირს სამი მანეთი ენის ძირიდან ამოაცალეს. მოინდომეს მისი ცემა, მაგრამ ჯიბგირს ათამდე ამხანაგი წაეშველა და გლეხებს ხელიდან გააგდებინეს. მეორე ჯიბგირმა გლეხს მოსტაცა მაზარა, რომელშიაც 5 მანეთის ნავაჭრი ჰქონდა გლეხს. იქვე ერთი გლეხისაგან უცნობმა იყიდა მსხალი და 4 მან. მისცა, მერე განგებ დაიწუნა ხილი და 6 მან. უკანვე გამოართვა ცოტას ხანს შემდეგ ამავე გლეხთან ნამდვილი ვაჭარი მოვიდა ხილის სასყიდლად. უცნობმა გლეხისათვის, რომ ხელი შეეშალა, აუტეხა ჩხუბი—4 მანეთი არ დაგიბრუნებიაო. გამოცვეთილმა უცნობმა, რომელსაც ჯიბგირები ექომაგებოდნენ, ისეთი ხმაურობა და აყალ-მაყალი ასტეხა, რომ საქმეში პოლიციელიც ჩაერია და მაწანწალა უცნობიცა და გლეხიც პოლიციაში წაიყვანეს. ვინც დავიდარაბის მოწმენიც იყვნენ იცინოდნენ, როგორ აცდენდა გლეხს მაწანწალა, მაგრამ გლეხის სასარგებლოდ არავინ კრინტი არ დასძრა. ტრამვაის ვაგონებზედაც ხშირად დათარეშობენ ჯიბგირები. მიხეილის ქუჩაზე ვაგონით მოდიოდა ტფილისში რაღაც საქმისთვის ჩამოსული აჭარელი ქართველი მაჰმადიანი. ჯიბგირმა გაზეთი ხელზე გადაიფარა, მოხერხებით ჩააპარა ჯიბეში ხელი და ისე ამოაცალა 5 მან. რომ მან გვიანობამდე ვერა გაიგორა.

✦ **ბლერიო ტფილისში.** „ტიფლისტ"-ს დანამდვილებით გაუგია, რომ ჰაერში მფრინავი ბლერიო, რომელიც თავის მონოპლანით ლა-მანშზე გადაფრინდა საფრანგეთში ინგლისში, ტფილისს აპირებს ჩამოსვლას. თავის მონოპლანით ბლერიო დიდუბეში, დოლის მინდორზე, გაფრინდება. ბლერიო ამ ნოემბრის გასულს ჩამოვა,

✦ **ექსკურსია.** 25 ოქტომბერს საკომერციო სასწავლებლის მეორე კლასის მოწაფეებმა პატარა ექსკურსია გააკეთეს. ბავშვები კუსს ტბაზედ წავიდნენ. ბავშვებს კარგი დარი დაუდგათ და ექსკურსიამ მხიარულად ჩაიარა. უკან დაბრუნებისას ბავშვებმა დაათვალიერეს ტფ. სასულიერო სემინარია.

✦ **უპასპორტოები.** ჩხრეკის დროს ერევნის მოედანზე დააპატიმრეს 19 უპასპორტო კაცი.

✦ **ექსკურსიები.** 14 ნოემბერს ტფილისიდან ქუთაისში, მასწავლებელთა ხელმძღვანელობით, საექსკურსიოდ მიდიან ქართულ გიმნაზიის უფროს კლასის მოწაფენი. ამავე დღეს ტფილისში ჩამოვლენ ქუთაისის რეალურ სასწავლებლისა და გიმნაზიის უფროს კლასების მოსწავლენი.

✦ **ბამბის მოყვანა.** მთავრობას მომავალი წლის ხარჯთ-აღრიცხვაში 505,665 მანეთი შეუტანია ბამბის თესვა-მოყვანის საქმის გასაძლიერებლად თურქესტანსა და კავკასიაში.

✦ **ჭლექთან მებრძოლი საზოგადოება.** 14 ნოემბრისთვის კავკასიის სამკურნალო საზოგადოების სადგომში დანიშნულია საზოგადო კრება ჭლექთან მებრძოლ საზოგადოებისა.

✦ **„ნაკადულის" პრემია.** რედაქციამ მიიღო საყმაწვილო ჟურნალ „ნაკადულის" პრემია: „რას გვიამბობს ოთახი", საბავშვო მოთხრობა, თარგმნილი გიგო ჯაფარიძის მიერ. პრემია ძალიან კარგ ქაღალდზეა დაბეჭდილი და სუფთად არის გამოცემული. ჩართულია სამი სურათი.

✦ **ქუთათელაძის გაგზავნა იტალიაში.** კავკასიის საბრეშუმო სადგურის უფროსი მებრეშუმეობის ინსტრუქტორი ქუთათელაძე ტალიასა და სამხრეთ საფრანგეთში იგზავნება აბრეშუმის და პარკის ბაზრის შესასწავლად.

✦ **ფოსტა-ტელეგრაფის განყოფილება.** ჩოხატაურის (გურია) საფოსტო განყოფილება ფოსტა-ტელეგრაფის განყოფილებად გადააკეთეს.

✦ ერევნის გუბერნიიდან მოსამსახურის ადგილის საძებნელად ტფილისში ჩამოსულა პეტრონია მაკოიანცი, 19 წლისა, და რიყეზე თავის ნაცნობებთან ჩამომხტარა. მაკოიანცმა 3 ნოემბერს თავის მოკვლის განზრახვით კარბოლის სიმჟავე დალია და თავი მოიწამლა. მოწამლული მიხეილის საავადმყოფოში გაგზავნეს.

✦ 3 ნოემბერს პოლიციამ დააპატიმრა ბაგრატ კეთენჯინცი და ეგნატე ბიჯაშვილი, რომელნიც საგენერალ-გუბერნატოროდან გადასახლების შემდეგ უკან დაბრუნებულან.

✦ თელავის მცხოვრებმა ბალდასარ ტერ-სარქისოვმა 3 ნოემბერს მოკლა მოუნდომა ვაჭარს და სახლის პატრონს ანანოვს და ბებუთით დასჭრა გვერდში. სარქისოვი მიიმალა, მაგრამ მალე დააპატიმრეს და გამომძიებელს გადასცეს.

# დეპეშები
(პეტერბ. დეპეშათა სააგენტოსაგან)
4 ნოემბერი.

### ს პ ა რ ს ე თ ი

**თავრიზი.** მეჯლისის გახსნის გამო ქალაქი საღამოთი გაჩირაღდნებული იყო.

**ასტარა.** ორი დღის მოლაპარაკების შემდეგ რახიმ-ხანმა და შაჰსევანებმა არდებილი მიატოვეს. გუბერნატორის ჩამოსვლამდე ქალაქს და ციხეს რუსის ჯარი დაიცავს. 3 ნოემბერს რუსეთის საკონსულოს წინ აუარებელ ხალხის თანადასწრებით ადგილობრივ სომხების მღვდელმა გადაიხადა პარაკლისი. მოლამ წაიკითხა სამადლობელო ლოცვები.

**თეირანი.** 2 ნოემბერს, მეჯლისის გახსნის დროს, შაჰის სეფე-სიტყვა წაიკითხა მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე სეპეხდარმა. სეფე-სიტყვაში სწერია: მეჯლისის გახსნა სპარსეთში მშვიდობიანობის დამყარებას მოასწავებს. იმედი გვაქვს, რომ დეპუტატები და მინისტრები ერთსულოვნად იმოქმედებენ და სპარსეთს დაამშვიდებენ, რომ განხორციელებულ იქმნენ საჭირო რეფორმებიო. მცხოვრებლები ძალიან დაინტერესებულნი არიან, შესძლებს თუ არა მეჯლისი სპარსეთის დამშვიდებას და საჭირო რეფორმების განხორციელებას.

### ო ს მ ა ლ ე თ ი

**სტამბოლი.** რამდენიმე დღის განმავლობაში განუწყვეტლივ სწვიმდა. მდინარე ზეიტუნი ნაპირებიდან გადმოვიდა. წყალდიდობამ შესამჩნევი ზარალი მიაყენა ადანის მცხოვრებლებს. ადანის ვალის უკანასკნელ დეპეშებიდან სჩანს, რომ ქალაქის მეტი ნაწილი წყალის ქვეშ მოჰყოლია. დანგრეულია ბევრი სახლი. ზარალი დიდია. მარტო ადანაში ზარალი ასი ათას გირვანქას უდრის. მინდვრები სულ გაფუჭებულია. ჯერ არ არის გამორკვეული რამდენი კაცი დაიღუპა. ტრაპეზონდში დანგრეულ სახლების ნანგრევებში ჯერ-ჯერობით 16 კაცის გვამი იპოვეს.

### საზღვარ-გარედ

**ლონდონი.** ლორდთა პალატა. ლენსდოუნმა განაცხადა: როდესაც ლორდთა პალატა საფინანსო კანონპროექტს (ბიუჯეტი) მეორედ წაიკითხავს, ლორდთა პალატას წინადადებას მივცემ, შემდეგი რეზოლიუცია მიიღოსო: ლორდთა პალატას უფლება არა აქვს ბიუჯეტი მიიღოს, სანამ ამ ბიუჯეტს ინგლისის ხალხს არ წარუდგენს განსახილველადო.

**კანეია.** დეპუტატთა პალატის ახლო აფეთქება მოხდა. ამ ამბავმა დიდი აღელვება გამოიწვია. როგორც გამოირკვა აუფეთქებიათ დინამიტის პატრონები. ზარალი მცირეა.

### ჰ ა ე რ შ ი ფ რ ე ნ ა.

**ვარშავა.** ვუაზენის სისტემის ჰაეროპლანით გაფრინდა ავიატორი დეკატერსი. დეკატერსი 15 საჟენის სიმაღლე ავიდა და იფრინა ოთხი წუთი. ხალხი აღტაცებით მიეგება დეკატერს.

**მაინის-ფრანკფურტი.** გერმანელებმა დაარსეს სააქციონერო საზოგადოება „ჰაერში ფრენა“ საზოგადოებას სამი მილიონი მარკა ძირითადი თანხა ექნება.

### რ უ ს ე თ ი

**ნიკოლაევი.** ქალაქის ბანკში აღმოაჩინეს ბრილიანტის და ოქროს ნივთები, რომლებიც შარშან გორდონის მაღაზიიდან (პეტერბურგი) მოიპარეს. უცნობებს ეს ნივთები 3,000 მანეთად დაუგირავებიათ. ჩამოვიდა გორდონი. უცნობებს ეძებენ.

**პეტერბურგი.** 2 ნოემბერს უცნობებს უნდოდათ აფიცერთა საეკონომიო საზოგადოების გაცარცვა. უცნობებს ღამე გაუტეხნიათ კედელი, მაგრამ ქვიტკირის კედლის იქით რკინის კედელიც დახვდომიათ და ამიტომ იარაღი იქვე დაუყრიათ და მიმალულან. გამოძიება სწარმოებს.

**სტავროპოლი** (სტ.გუბერნიო). 2 ნოემბერს საღამოს 8½ საათზე მიწა-იძრა. მიწის-ძვრა რამდენიმე წამს გაგრძელდა.

**სარატოვი.** სამხედრო სასამართლომ გაარჩია ოთხი კაცის და ერთი ქალის საქმე. ბრალდებოდათ 1908 წელს მემამულე ვესელოვსკის სახლზე თავდასხმა. სასამართლომ ქალი გაამართლა, დანარჩენ ბრალდებულებს (ოთხი კაცი) ათ-ათი წლით კატორგა გადაუწყვიტა.

**სევასტოპოლი.** ოდესიდან მოსულ გემზე დააპატიმრეს ვინმე მაკოვსკი. მაკოვსკის პეტერბურგში 50,000 მანეთი მოუპარავს.

**პეტერბურგი.** სახელმწიფო სათათბიროს შეკითხვების შესახებ კომისიამ უარ-ჰყო შეკითხვა ეკატერინოსლავის სატუსაღოში მომხდარ ამბების შესახებ, დაუსაბუთებელიაო. ამავე კომისიამ მიიღო შეკითხვა ოდესის გენერალ-გუბერნატორის უკანონო მოქმედებაზე, რაიც იმაში გამოიხატა, რომ ოდესის გენერალ-გუბერნატორმა ოდესის უნივერსიტეტის ათხ პროფესორს თავიანთ მოვალეობის ასრულება აუკრძალა.

**ხერსონი.** ნოვოუკრანკას ახლო თავს დაეცნენ ფოსტას. ბოროტ-გამზრახველები გაიქცნენ. ფული არ წაუღიათ.

**კერჩი.** 2 ნოემბერს დაპატიმრებულ უცნობს, რომელსაც ალექსეევკას და გენიჩესკს შუა მეარტელეს გაცარცვა ჰბრალდება, უპოვეს 6015 მანეთი. ექვით დააპატიმრეს მეორე ბოროტ-გამზრახველი, მესამე გაექცათ.

**პეტერბურგი.** ვაჭრობა-მრეწველობის სამინისტროს განზრახული აქვს 1910 წლის დასაწყისში სწავლა განაახლოს დომბროვის სამთო სასწავლებელში.

**პეტერბურგი.** დღე-ღამეში ხოლერით ავად გახდა 3, გარდაიცვალა 2, ავად არის 118 კაცი.

# შავი-ქვის მრეწველთა კრება
(წერილი ქუთაისიდან)

30 ოქტომბერს, როგორც მკითხველებმა უკვე იციან, დაიწყო ჭიათურის შავი-ქვის მრეწველთა მეთორმეტე კრება. თავმჯდომარედ ვაჭრობისა და მრეწველობის მინისტრის მიერ დანიშნულია კავკასიის სამთო-მადნო მმართველის თანაშემწე ინჟენერი ჩენგერი.

კრებას მოხსენდა ანგარიში საბჭოს მოღვაწეობისა. ანგარიში სიტყვიერად გადასცა კრებას საბჭოს თავმჯდომარემ ზდანოვიჩმა. ზდანოვიჩმა აუხსნა დამსწრეთ, რომ კრება მოწვეულია არა ჩვეულებრივ გარემოებში, წინააღმდეგ საბჭოს და მთელის ადგილობრივ მრეწველთა სურვილისა, რომელთაც ორჯერ დაადგინეს, კრება არ იქმნეს წელს მოწვეული. საბჭო სწორედ მრეწველთა დიდძალ უმრავლესობის სურვილის თანახმად იქცეოდა. მაგრამ ორიოდე ვაჟბატონმა რაღაც უცნაური ზომა იხმარა და კრებაც მოწვეულ იქმნა. კრება მოწვეულ იქნა კანონის წინააღმდეგ, რადგან მრეწველთა კრება ჩვეულებრივ უნდა მოიწვიოს ხოლმე საბჭომ. აი, ეს იყო მიზეზი, რომ რომ საბჭომ ვერ მოასწრო თავის წარმომადგენლობით მოღვაწეობის ანგარიშის დასტამბვა, ხოლო შემოსავალ-გასავლის ანგარიში დაბეჭდილია და მოგერთმევათო.

საბჭოს საანგარიშო ხანაში აღუძრავს რამდენიმე დიდ-მნიშვნელოვანი საკითხი.

აი, ეს საკითხები:

1. ტარიფის დაკლება, რომელიც დამთავრდა იმით, რომ შავ-ქვაზე ხარკად დადებულ უცნაურს ტარიფს დაუკლეს მარტო 1 ნახ. კაპიკი, თუმცა იქ „სფერებშიაც“ ყველა იმ აზრისა ყოფილა, რომ უთუოდ სამი-ოთხი კაპეიკი უნდა დააკლდესო; 2. საბჭოს შემოსავლის გაძლიერება საფუთო გადასახადის მომატებით. ეს საქმე თითქმის უკანასკნელ სტადიამდის იყო მიყვანილი, რადგან იგი, ვაჭრობისა და მრეწველობის სამინისტროს მიერ მოწონებული, შეტანილ იქმნა მინისტრთა საბჭოში. მინისტრთა საბჭომ მიიღო და საკითხი სათათბიროში წარადგინა. სათათბიროს კომისიამაც ერთხმად მოიწონა და კიდეც უნდა განეხილა სათათბიროს, რომ ამ დროს ფოთის ბირჟის კომიტეტმა, რომელთანაც არავითარი დამოკიდებულება არა აქვთ არც მრეწველებს და არც შავი ქვის მრეწველობას, იკისრა მრეწველთა ინტერესების ვექილობა და დეპეშა-დეპეშაზე მიაყოლა სამინისტროში—შავი-ქვის მრეწველობა დაიღუპება, თუ ამ გადასახადს მოუმატებთო. ესევე ბირჟის კომიტეტი დეპეშებსა ჰგზავნიდა სამინისტროებში—ფოთის სასარგებლოდ ნახევარი კაპეიკი მოგვიმატეთო. ამ გვარ დეპეშების უაზრობა თავისთავად ცხადი იყო და ყოველი სამინისტრო მიჰხვდებოდა, რაშიაც იყო საქმე, მაგრამ დეპეშები სხვა და სხვა დაწესებულებაში იგზავნებოდა და არა ერთსა და იმავე დაწესებულებაში. არ ვიცით, რა მიზეზით, ამ დეპეშებს ადგილობრივმა ადმინისტრაციამაც მისცა მხარი და სამინისტროს მოახსენა: ნაადრევია მრეწველთა კრების შემოსავლის გადიდება, ვიდრე არ დამთავრდება მთავრობის რევიზია, რომელიც განიხილავს საბჭოს მოღვაწეობასაო. ამ მიზეზით, პროექტი საფუთო გადასახადის შესახებ სამინისტრომ უკანვე წაიღო. და ამ გვარად, თითქმის გათავებული საქმე ისევ დასაწყისშია.

შემდეგ ზდანოვიჩმა გააცნო კრებას საბჭოს დაწესებულებათა მდგომარეობა: საავადმყოფოისა, ტეხნიკურ ნაწილისა, სამოქალაქო სასწავლებლისა და დაშავებულ მუშათა დაჯილდოვების საქმე, გადასცა სტატისტიკური ცნობებიც შავი-ქვის მრეწველობის შესახებ.

ამ ცნობებიდან სჩანს, რომ ბრიტანიის ინდოეთში შავი-ქვის წარმოებამ ამ წლის განმავალობაში საოცრად იმატა: 1899 წელს გადაიტანეს იქიდან 5,700,000 ფუთი, ხოლო 1908 წელს—27,000,000 ფუთი. ჭიათურიდან-კი გაიტანეს: 1899 წ.—25,000,000 ფუთი, ხოლო 1908 წ.—24,000,000 ფუთზე ცოტა მეტი. ამ რიგად, ინდოეთში წარმოებამ 10 წლის განმავლობაში ხუთჯერ მოიმატა, ჩვენში კი იკლო. ამ საქმეში, საბჭოს აზრით, ბრალი მთლად ფინანსთა მინისტრის პოლიტიკას ედება. ამ პოლიტიკის წყალობით ძლიერდება და ვითარდება ბრიტანიის ინდოეთის მრეწველობა, ხოლო სუსტდება ჩვენი ქვეყნის წარმოება. ეს პოლიტიკა იმაში მდგომარეობს, რომ ჭიათურის შავი-ქვის გადასატანი ქირა რკინის გზაზე იმდენად დიდია, რომ თუმცა ორჯელ ახლო ვართ ევროპასთან, ვიდრე ბრიტანიის ინდოეთზე, მაგრამ მაინც ვერ უწევთ იქაურ ქვას ქიშპობას. ამავე უცნაურ პოლიტიკისა და საზღაპრო ტარიფის ბრალია ის, რომ ეკატერინოსლავის მეტად მდარე შავი ქვა უფრო საღდება რუსეთში, ვიდრე ჭიათურისა. მთელი რუსეთის ქარხნები, რომელნიც შავ ქვას ხმარობენ, ნიადაგ და ერთხმად სთხოვენ მთავრობას, ჭიათურის ტარიფი ნორმაზე დააყენოს, მაგრამ სამინისტრო არ იწყნარებს ამ თხოვნას. ამგვარად ფინანსთა სამინისტროს პოლიტიკა ერთის მხრით ხელს უმართავს სხვა ქვეყნების მრეწველობის განვითარებას ჩვენს ხარჯზე, ხოლო მეორე ხელით, ჩვენდა საზარალოდ, ავიწროვებს რუსეთის მეტალურგიის ქარხნებს და ძალაუნებურად მდარე ღირსების ქვას აყიდვინებს.

ზდანოვიჩი შეეხო ჭიათურის სასწავლებელსაც და სთქვა, თუ ამ სასწავლებელს არ მიემატა სამთამადნო ნაწილი, მისი არსებობა უმნიშვნელო იქნება, მაგრამ იმედია, როგორც კი ცოტა მოიმატებს შემოსავალი საბჭოს კასსისა, კრება ამას სისრულეში მოიყვანსო. როგორც სკოლის, ისე სტიპენდიების შესახებ კი ის უნდა მოგახსენოთო, სთქვა ზდანოვიჩმა, რომ მრეწველების ზნეობრივი მოვალეობაა (და ასეც უყურებენ ამ საქმეს მრეწველები), იმ ხალხს, რომლის სიმდიდრითაც სარგებლობენ და რომელსაც ამ სარგებლობით ზარალს აყენებენ (ვენახებისა და ყანების გაფუჭება, წყაროების დაშრობა და სხვა), რაიმე ნაირად აუნაზღაურონ ეს ზარალი, რაიმენაირად დაასაჩუქრონ. ჩვენი მტრები კი სწორედ ამ სტიპენდიების გამო ავრცელებენ ყველგან, ვითომ ჩვენ რევოლიუციონურ მოღვაწეობას მივდევთო.

ამ დროს კავკასიის ნამესტნიკის წარმომადგენელმა ბ-ნმა ავგუროვმა სთხოვა კრების თავმჯდომარეს, რომ ზდანოვიჩი მაშინ შეეხოს დაწვრილებით სტიპენდიების საქმეს, როცა ამაზე განსაკუთრებული ლაპარაკი იქნებაო. თავმჯდომარემ აუხსნა ავგუროვს, რომ სტიპენდიების საკითხი განსაკუთრებულ მუხლად არ არის შეტანილი და ზდანოვიჩს ნება აქვს, საბჭოს მოღვაწეობის მოხსენების დროს შეეხოს სხვა-და-სხვა მხარეს ამ მოღვაწეობისასო.

ამის შემდეგ კრება გადაიდო მეორე დღისათვის.

# ქართული ენის დაკარგვა შავშეთში

ნახევარ შავშეთში სრულიად დაიკარგა ქართული ენა. გიორგი მთაწმინდელის ქვეყნის ქართველნი დღეს ოსმალურად ლაპარაკობენ. ქართული ენა აქ ძირიან-ფესვიანად ამოვარდა 1850 წლებში.

შავშეთის აღმოსავლეთ და სამხრეთ კუთხეებიდან ტბეთამდე და ართვინამდე, მთელს ამოდენა სივრცეზე, ქართველ მაჰმადიანებში ქართული ენა მოსპობილია. ქართულ ენაზე ლაპარაკობენ მხოლოდ ტბეთის აქეთ, ჩრდილოეთ-იმერხევში და ართვინს იქით, ლივანას.

როგორც შავშეთში ამოვარდა ქართული ენა, ისევე ამოვარდება იმერხევის ქართველ მაჰმადიანთა შორის, თუ ამ საქმეს რამე წამალი არ დაედო, იმერხევს სოფლებში ვიყავ, ვნახე იქაურობა. იგი მივარდნილი კლდე-ტყიანი ქვაბნარი ხეობაა. იმერხევში არის შემდეგი სოფლები: ხოხლეური, აგარა, შოლტის ხევი, წყალსიმრი, წითლიეთი, დიობანი, იფრხევი, ეეეთი. გაჯათა, სურევანი, უბე, ძიოსი, ხემოწვრილი, დაბა, ბელტიეთი, ზაქიეთი, ბაძგირეთი, ლეონიძე, ჩიხორი, ციხის თავი, უსტამისი, გრილ-აგარა, პეკიური, ლივანის ძირი, ჩაქველთა, არსანა, გორგოტიხანა, ოქროს წყა, ახალდაბა, გარელუფი, ჯვარები, ბან-ტბა, წეფთის ძირი, და დევა-გელა, სულ 32 სოფელი.

შავშეთის ქართველ მაჰმადიანთ მიამბეს, რომ შავშეთში ქართველებს ქართული ენა 1850 წლებში დაივიწყდათო. იმერხევშიც ასევე მოხდება და 30 წლის განმავლობაში აქაც დაჰკარგვენ დღემდე შენახულ ენას. ჯერ ეხლა, ქართულ ენაში მრავლად შეპარულა ოსმალური სიტყვები. უფროსებიც ყმაწვილებს უფრო ხშირად ოსმალურად ელაპარაკებიან, რომ ქართული მალე დაივიწყონ. არსიონის მთაზე მწყემსებს შორის ვნახე იმერხეველი მწყემსები და მათ ქართული ლაპარაკი გაუძნელდათ.

ბათუმის ოლქის ქართველ მაჰმადიანთა შორის ქართული ენა ყველგან მკვიდრად არის დაცული. ართვინის ოლქში კი დაცულია ჩვენი ენა მაჭახლის ხეობაში, ნაწილს ლივანას და კლარჯეთის შეყოლებას. მოსპობილია მთელს შავშეთსა და არდანუჩში. იმერხევი ამ კუთხეზეა მიკრული და ამიტომ აქ ქართულ ენას დიდი შიში მოელის. ამ გარემოებას ყურადღება უნდა მიექცეს...

დიდი საქმეა ეს ართვინის ოლქის ქართველ მაჰმადიანთათვის. ჩვენც დიდი ყურადღება გვმართებს. სამწუხაროდ, იქ არსად ერთი სკოლაც არ არსებობს. არც მოლებს დახოჯებსა აქვთ სკოლები. კითხვა სულ არავინ იცის, იმერხეველნი მაჭახლელებივით ტყისა და კლდის ხალხად ითვლებიან.

ვწერთ ამას წერა-კითხვის საზოგადოების და სხვათა საყურადღებოდ.

ზ. ჭ.

# ახალი არტელი

რკინის გზის მოხელეს ს. ე. სემიონიშინს შეუდგენია წესდება. ამ წესდების თანახმად უნდა შესდგეს რკინის გზებზე და ნავთ-სადგურებში საქონლის დამცლელ-დამტვირთველთა და დამცველთა არტელი. არტელს ჰქვიან: „ვარიაგის“ კავშირის არტელი“. ამ კავშირში შედიან მუშები დარაჯები, ბარგის გადამტან-გადმომტანნი და კომისიონერები.

არტელს ეყოლება რამდენიმე ათასი წევრი. რკინის გზების გამგეობებში გირაოდ შეიტანს რამდენსამე ათას მანეთს.

არიან ისეთი პირები, რომელთაც განუზრახავთ შეადგინონ კავკასიის რკინის გზებზე ასეთი არტელი „ვარიაგის“ სახელით და ამ კავშირის წესდების მიხედვით. ეს არტელი „ვარიაგ“ ის პირველი რაიონი იქნება და მოუნდება დაახლოვებით 2000 კაცი. საწევრო ფული 30 მანეთი იქნება. გარდა ამისა, საწევრო ფულს წევრმა უნდა უმატოს ყოველ წელს, ვიდრე ათი თუმანი არ შესრულდება. ეს ფული შეინახება გზების გამგეობაში. შემოსავალი ნავარაუდევია თითო წევრზე 30—60 მანეთი თვეში.

ამ დღეებში შესდგა მცირე არტელი 400 კაცისაგან, ბ-ნ იაგორ ასამბაძის მეთაურობით („ვარიაგის“ სახელით) და განცხადება შეიტანა ამიერ კავკასიის რკინის გზის გამგეობაში, საქმის ჩაბარების შესახებ. მოელიან პასუხს.

ეს მცირე არტელი სადღელადაა და აილებს რამდენსამე საქონლის სადგურს.

თუ ეს არტელი სასარგებლო გამოდგა თავის წევრების, რკინის გზისა და საზოგადოებისათვისაც, მაშინ შესდგება მთელ ამიერ-კავკასიის რკინის გზისთვის ზემო აღნიშნული არტელი. ნ. ს.

# ბოსნია-ჰერცოგოვინა

ბოსნია-ჰერცოგოვინის საკითხმა შარშან ყველა სახელმწიფო შეანძრია. ბევრმა ილესა კბილები, დიდი ფაცი-ფუცი იყო ავსტრ-ჰუნგრეთის წინააღმდეგ, მაგრამ გამარჯვება, როგორც ვიცით, ავსტრ-ჰუნგრეთს დარჩა. გასული წლის მდგომარეობით ისევ ავსტრ-ჰუნგრეთმა ისარგებლა. რუსეთის პრესა გულნატკენი დარჩა. ყველაზე მეტად განრისხებული, რასაკვირველია „ნოვოე ვრემია“ იყო. გარეშე საქმეთა მინისტრის იზვოლსკის წინააღმდეგ ამხედრდა „ნოვოე ვრემია“, იმის სამსახურიდან დათხოვნაც კი მოითხოვა.

აგერ ერთი წელიწადი გავიდა მას აქეთ, რაც ბოსნია-ჰერცოგოვინის საკითხი ავსტრ-ჰუნგრეთმა გადასწყვიტა და „ნოვოე ვრემიას“ დღესაც ვერ მოუნელებია. განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც დეპეშათა სააგენტომ ოფიციალურად უარჰყო უცხოეთის ზოგიერთ გაზეთში გამომჟღავნებული ცნობები იზვოლსკის პოლიტიკაზე. დეპეშათა სააგენტოს ოფიციალურმა უარჰყოფამ ცოტა დაიგვიანა და ამას „ნოვოე ვრემიაც“ გრძნობდა, როდესაც უცხოეთის გაზეთებში გამომჟღავნებულ ცნობების გამო დეპეშა გაუგზავნა გარეშე საქმეთა მინისტრ ერენტალს. ერენტალმა დეპეშითვე გასცა პასუხი „ნოვოე ვრემიას“. მან მოკლედ აღნიშნა, რომ პეტერბურგის გაზეთების ცნობა მართალია. ბოსნია-ჰერცოგოვინის შეერთებას წინ უძღოდა რუსეთ-ავსტრიის კაბინეტების მეგობრული აზრთა გაზიარებაო. „ნოვოე ვრემიას“ ეს პასუხი არაფრად მოეწონა. ერენტალმა დიპლომატიურად თავი შეიკავა, მაშინ როდესაც სხვა ავსტრიელი დიპლომატები სხვა და სხვა ცნობებს ამჟღავნებენ უცხოეთის გაზეთებშიო.

ფრანგულ გაზეთ „ტან“-ში „რეჩის“ სიტყვით, დაიბეჭდა შემდეგი ამბავი: „რეველის შეხვედრის ათი დღის წინად და ოსმალეთის რევოლიუციის ხუთი კვირის წინად რუსეთის გარეშე მინისტრმა ავსტრიის გარეშე საქმეთა მინისტრს ერენტალს საიდუმლო წერილი გაუგზავნა და აუწყა, რომ რუსეთი წინააღმდეგი არ იქნება ავსტრიამ ბოსნია-ჰერცოგოვინა შეიერთოს, თუ კი რუსეთს სამაგიეროდ უფლება მიეცემა თავისი სამხედრო გემები დარდანელის სრუტეში ატაროსო“.

უცხოეთის მეორე გაზეთმა „ფორტიმა“ ამ ცნობას ის დაუმატა, რომ ბოსნია-ჰერცოგოვინას გარდა რუსეთის დიპლომატია ნოვობაზარის სანჯაყის შეერთების წინააღმდეგაც არა ყოფილაო. ერენტალ-იზვოლსკის მიწერ-მოწერა და მოლაპარაკება ამით არ გათავებულა. ორივე მინისტრი მოსალოდნელ შემთხვევებს ითვალისწინებდნენ. ერენტალს შეუთვლია იზვოლსკისათვის, თუ ოსმალეთში დიდი ამბები მოხდა, თუ აბდულ-ჰამიდი ძალით ჩამოაგდეს ტახტიდან, ავსტრია სალონიკს დაიჭერს და მაშინვე სამხედრო გემებს გაგზავნის ბოსფორშიო. ხოლო იზვოლსკიმ რუსეთის [illegible] პირით შეუთვლია ერენტალს, თუ სულთანი ტახტიდან ჩამოაგდეს, მაშინვე განკარგულებას მოვახდენ, შავი ზღვის ფლოტი სტამბოლისაკენ გაემართოს და სტრატეგიული პოზიციები დაიჭიროს ზემო ბოსფორის ორივე ნაპირზეო. ამნაირად, იზვოლსკი და ერენტალი, როგორც „რეჩი“ შენიშნავს, წინდაწინვე იყოფდნენ ოსმალეთს. ოსმალეთის რევოლიუციით უნდოდათ ესარგებლათ, ეგონათ, სულთნის ჩამოგდებით „ავადმყოფი ოსმალეთი“ სულს განუტევებსო. მაგრამ სახელმწიფოებმა მგონი ეხლაც ვერ შეიგნეს, რომ შარშანდელს აქეთ ოსმალეთი ჯანზე მოდის.

ამ გამომჟღავნებამ ბევრი რამ გამოარკვია. დიპლომატია სლავიანთა ინტერესების დაცვაზე ლაპარაკობდა და ბოსნია-ჰერცოგოვინის შეერთებით ვითომ აღელვებული იყო. ნამდვილად ეხლა ირკვევა, რომ ამ შეერთებისა რუსეთის დიპლომატია წინააღმდეგი კი არა, პირიქით თანახმა ყოფილა. დეპეშათა სააგენტოს უნდა უარ ეყო უცხოეთის გაზეთების ცნობები, მაგრამ ვერ მოახერხა. ფაქტები სააგენტომაც აღნიშნა. მოიყვანა საბუთად მხოლოდ ის, რომ ბოსნია-ჰერცოგოვინის საკითხს იზვოლსკი საერთო ევროპიულად სთვლიდაო. მაგრამ თუ საერთო ევროპიული იყო ბოსნია-ჰერცოგოვინის საკითხი, დარდანელში გემების ტარების უფლებაც ხომ საერთო ევროპიული საკითხი იყო. ამ გამომჟღავნებით მეტად ცუდ გუნებაზე არიან ისინი, ვისაც რუსეთის დღევანდელ მთავრობის პრესტიჟს დაცვა უკისრია. აქ ბევრი მითქმა-მოთქმა იყრის თავს. ამბობენ, იზვოლსკის დამარცხება მახლობელ აღმოსავლეთში შორეულ აღმოსავლეთის ავანტიურის ლიკვიდაციითაც არის გამოწვეულიო. იზვოლსკის დამსახურებად უთვლიან კიდეც იმას, რომ ამ ავანტიურების ლიკვიდაცია მოახდინა. მაგრამ მოახდინა კი ეს ლიკვიდაცია? შორეულ აღმოსავლეთიდან სხვა და სხვა ცნობა მოდის, ჩინეთის აღორძინებას, არ ვიცით, როგორ უყურებს მთავრობა. იაპონიასთან მოლაპარაკება ჯერ არ გათავებულა. ვლადივოსტოკიდან ამას წინად დეპეშა მოვიდა, რომ იაპონია მეტად აგრესიულ პოლიტიკას ადგიაო. გრაფ ვიტეს მიელიან მოლაპარაკებაში მონაწილეობის მისაღებადაო. სხვა ცნობებიდანაც სჩანს, რომ შორეულ აღმოსავლეთში საბოლოო ლიკვიდაცია ჯერ არ მომხდარა.

# კიდევ ერთი განმარტება
(ლევ. მეტრეველის წერილის გამო)

ბ-ნი მეტრეველიც ცდილა მიუდგომლად გადმოეცა თავისი შთაბეჭდილება შესახებ ჩემის ლექციებისა. მისი „გრძნობით“, ლექცია შესახებ აკაკისა მშვენიერი და ძლიერი იყო, შემდგომ კი ყოველი ჩემი ლექცია ერთი მეორეზე სუსტი გამოდიოდა. შეიძლება, ეს მართალიც იყოს: შთაბეჭდილების წინააღმდეგ ვერვინ ვერაფერს იტყვის. ხოლო მეც შემიძლია სიტყვა ამოვიღო იქ, საც ჩემს ლექციებს ერთი მეორეს ადარებენ: ამ შემთხვევაში მე უფრო მიუდგომელი გამოვალ.

ყოველი ჩემი ლექცია თავის განსაკუთრებული მანერით არის შეთხზულ, რადგან სხვა და სხვა თემა სხვა და სხვა მანერას ითხოვს. შეთხზვის მეთოდს დიდ ყურადღებას ვაქცევ მას შემდგომ, რაც ფრ. ნიცშემ, ოსკარ უაილდმა და დიმ. მერეჟკოვსკიმ დამანახვეს მისი მრავალი სადუმლოება. ორი ლექციის, სხვა და სხვა მეთოდით შეთხზულის, შედარება მეტად ძნელია: ხშირად ხდება ხოლმე, რომ ერთი ლექცია როგორც დაწერილი უკეთესია, ვიდრე მეორე ლექცია როგორც წარმოთქმული, და პირიქით, მაგალითად ლექცია შესახებ ბარათაშვილისა უფრო ძლიერია, ვიდრე ლექცია შესახებ აკაკისა; მაგრამ, როგორც წარ-

მოთქმული, უკანასკნელი გაცილებით მეტს შთაბეჭდილებას ახდენს. თუმცა ჩემი გამოცდილებით ისიც უნდა აღვნიშნო, რომ ის მეთოდი, რომლითაც შეთხზულია აკაკის შესახებ ლექცია, ქართველ. საზოგადოებას ყველას უფრო მოსწონს; მე რომ მკითხონ კი, ბარათაშვილის შესახებ ლექციაში გაყვანილ მეთოდს ვამჯობინებ. აქ გამოთქმულს აზრს ბევრი მიიღებს, როცა ჩემს ლექციებს დაწერილს წაიკითხავს.

ორიოდე სიტყვა შესახებ ვეინინგერისა. ბ-ნ ლევ. მეტრეველს ჰგონია, ვითომ მე ვეინინგერის მიმდევარი ვიყო. ეს მართალი არაა. ჩემს რუსულ ლექციაში („სქესი და სიყვარული“) ვეინინგერის წინააღმდეგ გამოვედი და ეხლაც წინააღმდეგი ვარ. მაშ, რამ გამოიწვია ბ-ნ ლევ. მეტრეველის აზრი? საქმე იმაშია, რომ ვეინინგერი რამოდენიმეთ პლატონის ტრადიციებს იცავს, მეც ვცდილობ იგი ტრადიციები განვაგრძო, და ადამიანს პირველი შეხედვით ჰგონია, ვითომ მე მართლაც ვეინინგერის მიმდევარი ვიყო, ნამდვილად ეს ასე არაა. ავიღოთ, მაგალითად, ვლ. სოლოვიოვის შესანიშნავი წერილი „Смыслъ любви“. ამ წერილში სოლოვიოვი თითქმის იმასვე ლაპარაკობს გამოსასვლელ მუხლებში, რასაც ვეინინგერი სწერს თავის დიდს შრომაში. და მერე? ვლ. სოლოვიოვი გარდაიცვალა 1900 წელს, ვეინინგერმა კი თავისი წიგნი 1903 წ. გამოუშვა. მეორე მაგალითი. ნ. ბერდიაევმა დასწერა „პერევალში“ წერილი 1907 წელს შესახებ „სქესისა და სიყვარულის ფილოსოფიისა“, სადაც იგი ბევრს იმას ამბობს, რასაც ვეინინგერი სწერს. მაგრამ მე ვიცი დანამდვილებით, რომ მან ვეინინგერი მხოლოდ 1908 წელს (ზაფხულში) წაიკითხა. რად მოხდა ეს? იმად, რომ ვეინინგერიცა და ბერდიაევიც პლატონის ფილოსოფიითგან გამოდიან. ჩემს ლექციაში შესახებ იბსენის „პერ გიუნტისა“ ბევრი ისეთი აზრია გატარებული, რაც ვეინინგერის წერილშია. ჩემი ლექცია (ნაწყვეტებად) დავსწერე მე პარიზში 1908 წელს თებერვალში, ხოლო ვეინინგერის წერილი წავიკითხე პირველად ბერლინში 1908 წელს მაისში, ჩემის მეგობრის მიერ ნაჩუქარ წიგნში. მიუხედავად იმისა, რომ ბევრი ისეთი რამ მაქვს მე გამოთქმული, რაც ვეინინგერის წერილშია ნათქვამი, მე მაინც სოლოვიოვის როლი კაცობრიობაში სულ სხვანაირად მესმის და მით მთელი ახსნა-განმარტება იცვლება. მე უკვე დაწყებული მაქვს წერილი, მიმართული ვეინინგერის წინააღმდეგ, და იქ სავსებით იქნება ყველაფერი გამორკვეული.

ბოლოს სიამოვნებით აღვნიშნავ, რომ ბ-ნმა ლევ. მეტრეველმა მიუდგომლობა სავსებით დაიცვა.

გრიგოლ რობაქიძე.

# სასამართლო

**იარაღის საქმე.**

1905 წელს 16 დეკემბერს სოფ. საცხენისში შეკრებილი გლეხები, ასამდე კაცი, გარს შემორტყმია მარტყოფ-იორის რაიონის ტყეების უფროსს ანდრია სლიჟევსკის სახლს. ამათ გამოჰყოფიან რევოლვერებით და თოფებით შეიარაღებულნი, შესცვივიან სლიჟევსკის სახლში, და მოუთხოვნიათ იარაღი და პატრონები, სლიჟევსკის უთქვამს: მე მაქვს ორი რევოლვერი და ორ ლულიანი თოფი, მაგრამ მთავრობის ნება დაურთველად ვერ მოგცემთო, მაშინ თვითონ დაუწყვიათ ჩხრეკა, გაუღიათ სკივრები, შკაფები, ყუთები და არ გაუშვიათ გაუჩხრეკავი ტანისამოსიც-კი. გაჩხრეკის დროს წაუღიათ ერთი ბერდანის და ორ ლულიანი თოფები, ოთხი რევოლვერი, 446 ბერდანის პატრონა, 30 რევოლვერის პატრონა, თოფის წამალი და ექვსი საფანტის თოფი. წინადადება მიუციათ სლიჟევსკისათვის, ანგარიში გაესწორებინა ტყის მცველებისათვის, ხოლო ამ უკანასკნელთათვის მოუთხოვიათ სამსახურის თავის დანებება. მერე წასულან და თან წაუყვანიათ ივანე ქარუმიძე, ნიკოლოზ ქალივიძე, და დავით ზუკაკაშვილი და გაუნთავისუფლებიათ სოფ. ხაშმში მხოლოდ მაშინ, როდესაც პირობა ჩამოურთმევიათ, რომ სამსახურს თავს დაანებებენ. სლიჟევსკის და ქარუმიძეს უცვნიათ იარაღის წამღებნი. ისინი შემდეგი პირები ყოფილან: სოფ. ხაშმის მცხოვრებნი პეტრე ლაღიძე, გიორგი და კონსტანტილე ნახუცრიშვილები, გაბო ინალიშვილი, ივანე მაისურაძე და საგარეჯოს მცხოვრები გიორგი შაქარაშვილი. ამ ამბის ერთი თვის შემდეგ წაღებული იარაღი ისევ დაუბრუნებიათ სლიჟევსკისათვის ხაშმის მამასახლისის სიმონ ნახუცრიშვილის და ტყის მცველის ქარუმიძის ხელით. წინასწარ გამოძიების დროს სლიჟევსკის, მის ცოლსა და შვილს და ტყის მცველებს დაუმოწმებიათ ზემოდ ნათქვამი.

ყაჩაღურად სახლზე დაცემისათვის პასუხისგებაში მიცემულთ პეტრე ლაღიძეს, გიორგი ნახუცრიშვილს, კონსტანტილე ნახუცრიშვილს, გაბო ინალიშვილს, ივანე მაისურაძეს და გიორგი შაქარაშვილს თავი დამნაშავედ არ უცვნიათ. პ. ლაღიძეს უთქვამს, სომეხ-თათართა შეტაკების დროს მე და სხვა გლეხები, თათრების დაცემის შიშით, მივედით სლიჟევსკისთან, რომ გვეთხოვნა იარაღი. მე სახლში არ შევსულვარ, შევიდნენ მხოლოდ გიორგი ნახუცრიშვილი და ივანე მაისურაძე და ისინიც უარაღოთაო. გიორგი ნახუცრიშვილს უთქვამს, სხვებთან ერთად მეც ვიყავი სლიჟევსკითან იარაღის სათხოვნელად, იარაღი უნდა გვეთხოვა იმ დრომდე სანამ სომეხ-თათართა შეტაკება იქნებოდაო. ტყის უფროსი დასთანხმებია მხოლოდ საკუთარ იარაღის მიცემაზე, სახელმწიფო იარაღზე-კი უარი უთქვამს. სახლის ჩხრეკაში მონაწილეობა არ მიმიღია და არც მინახავს, რომ ვისმეს ეძებნოსო. ჩვენ არ მივსულვართ ყაჩაღურად და არც ძალა გვიხმარია, თუმცა კი ზოგიერთნი შეიარაღებულნი იყვნენო. კ. ნახუცრიშვილს, გ. ინალიშვილს ი, მაისურაძეს და გ. შაქარაშვილს განუცხადებიათ, სლიჟევსკისთან ვიყავით სოფლის ყრილობის მონდობილებით იარაღის სათხოვნელად, რადგან ხმები იყო, თათრები აპირებენ სოფლებზე თავდაცემასაო. არის სოფ. ხაშმის სოფლის ყრილობის ოქმიც, რომელიც შეუდგენიათ 1906 წ. 9 აპრილს და სადაც ნათქვამია, „თათრებისგან ჩვენი თავის დასაცველად უნდა შევიარაღდეთ“.

ეს საქმე ტფ. ოლქიბ სასამართლომ 3 ნოემბერს განიხილა. რვა მოწმე იყო დაბარებული, რომელთაც დაამოწმეს თვით ბრალდებულთა ნალაპარაკევი.

ბრალდებულთ იცავდნენ ნაფიცი ვექილნი ი. ბარათაშვილი და გ. გვაზავა. მათ თავიანთ დასაბუთებულ სიტყვებით მოითხოვეს ბრალდებულთა გამართლება.

სასამართლოში არ გამოცხადებულან ბრალდებულნი ივანე მაისურაძე და გ. შაქარაშვილი, რადგან გადასახლებულნი ყოფილან.

ერთის საათის თათბირის შემდეგ სასამართლომ დამნაშავედ იცნო ბრალდებულნი გიორგი და კონსტანტილე ნახუცრიშვილები, გაბო ინალიშვილი და პეტრე ლაღიძე და მიუსაჯა სამ-სამი თვით საპატიმროში დაპატიმრება.

# თეატრი და ხელოვნება

**მოსკოვი** (ინტერვიუ ვ. ი. ნემიროვიჩ-დანჩენკოსთან). ამ დღეებში კორესპონდენტ ს. სპიროს კერძო ლაპარაკი ჰქონდა ვ. ი. ნემიროვიჩ-დანჩენკოსთან.

სამხატვრო თეატრი ძალიან ძვირადა ჰხდის ხოლმე ფარდას თავის შინაურ ცხოვრებას და იშვიათად აჩვენებს საზოგადოებას იმის საიდუმლოებას. არა თუ ძვირად—მუდამ ჩაკეტილია ამ ტაძრის კარები და ეს შემთხვევა (ინტერვიუ) მით უფრო ძვირფასი და სასარგებლოა, რომ შეიძლება ცოტათი მაინც გავიცნოთ ამ ხელოვნების „საიდუმლოების“ ისტორია.

„სასცენო ხელოვნების მიმართულება,—უთქვამს ვ. ი. ნემიროვიჩ-დანჩენკოს,—რომელსაც ადგას სამხატვრო თეატრი, არის გულწრფელობა, ბუნებრივობა და სულიერ გრძნობათა გამოხატვა. დიდი ხანია ამ მიმართულების განხორციელებას ვცდილობთ, მაგრამ აღმოჩნდა, რომ ეს „უბრალო საქმე“ ბევრად უფრო ძნელი ყოფილა, ვიდრე მაყურებელსა ჰგონია. „ანათემას“ დადგმაში ეს დავისახე მიზნად და გავიმარჯვე კიდეც... ამ გამარჯვებად პიესის ლამაზად და ტიპიურად დადგმა კი არ ჩაითვლება, არამედ ის, რომ ადამიანის ღრმა გრძნობები უბრალოდ, ბუნებრივად გამოვხატეთ და ამით მივაღწიეთ სრულს ტრაგიზმს. და ისიც ეხლა, როდესაც საზოგადოების მხატვრული გემოვნება უმაღლეს წერტილამდეა განვითარებული. დღემდის ტრაგიზმს თანა სდევდა „სათუო“-ც (Условность). ეს თვისება იყო დიდად ნიჭიერ მსახიობებისა.

„ლ. ანდრეევთან ჩვენი შეჯახება სწორედ ამ ნიადაგზე მოხდა. ის ამბობს: „მე მინდა სცენაზე დავინახო „გმირი მსახიობი“, თუნდა იგი სუსტიც იყოსო“. ჩვენ ვეუბნებით: „ჩვენს სცენაზე „სუსტი“ არაფერი არ უნდა იყოს“. ყველა მსახიობმა გმირის სულიერი მდგომარეობა ერთნაირად, შესაფერისად და რეალურად უნდა გადმოგვცეს. „ანათემა“-ში ჩვენ ამას მივაღწიეთ. ამაშია ჩვენი გამარჯვება. ეს განსაკუთრებულის სიძლიერით გამოკრთის მეორე მოქმედებაში, სადაც ერთმანეთში არეულია უბრალო, ჩვეულებრივი ცხოვრება და ღრმა ტრაგიზმი. ეს იქნება ჩვენი თეატრის მიმართულების დედაბოძი“.

„როდესაც რეჟისორსა ჰსურს პიესა ჩასვას ამა თუ იმ ჩარჩოში—იგი სრულიად მიენდობა მსახიობის ნიჭსა და უნარს. მე მგონია, ამ საშუალებით შეიძლება გადასწყდეს სიმბოლიზმის, რეალიზმისა და ნატურალიზმის საკითხი. მსახიობს სწორედ ამ გზით შეუძლიან მივიდეს ბუნებრიობიდან სიმბოლიზმამდე. როდესაც მსახიობი თავის შემოქმედებითის ნიჭით ადის უმაღლეს წერტილამდე, შეიგნებს გმირის სულიერ მდგომარეობას, იგი უბრუნდება ცხოვრებას და აქედან იწყებს თავის გმირის შენებას. რეალიზმიდან იგი ჰკრებს ბუნებრივ ცხოვრებისათვის უსაჭიროეს თვისებებს და როდესაც მასში გმირი განცხოველდება—მიდის სიმბოლიზმისაკენ. მაშინ მსახიობს აღარ სჭირდება წვრილმან მიზანსცენების სწავლება და რეჟისორისათვის მზა მასალას წარმოადგენს სტილიზაციისათვის. ამიტომ ვფიქრობთ, თუ მსახიობში გმირი რეალურად არ განცხოველდა, იგი სინამდვილეს ვერ მიახწევს და დარჩება უბრალო, ჩვეულებრივ მსახიობად, რომელიც გაზეპირებულ სიტყვებს თუთიყუშივით წამოიძახებს ხოლმე. სწორედ ამ მიზნით, ამ გეგმით დავიწყე „როსმერსჰოლმის“ მზადება. მაგრამ მიზანს ვერ მივახწიე, დავმარცხდი... და **ამ დამარცხებამ ისეთი საზარელი შთაბეჭდილება მოახდინა, ისე იმოქმედა ჩემზე, რომ მთელი ორი წელიწადი თეატრზე გულაცრუებული ვიყავი.** (კურსივი ჩვენია). მხოლოდ „ანათემა“-ში გამარჯვებამ კვლავ გამიღვიძა იმედი ჩემის მიზნის განხორციელებისა“.

„ამავე მიზნისაკენ მიიწევს „თეატრის მეორე ნახევარზე“ კ. ს. სტანისლავსკი „თვე სოფელში“ და „ჰამლეტში“. „თვე სოფელში“-ს მიზანსცენები იმდენად უბრალოა, რომ გაგიკვირდებათ. ამისდაგვარად მხატვარიც დეკორაციებს უბრალოდ და ლამაზად ხატავს. ჩემის აზრით, ტურგენევის პიესის დადგმა სხვაფრივ არც შეიძლება. ჩვენის მხატვრულ მიზნის განსახორციელებლად შესაძლოდ ვსცანით შეუდგეთ ოსტროვსკის კომედიის მზადებას, რომელიც სავსეა რეალიზმით და სრულიად მოკლებულია ნატურალისტურ წვრილმანობას“.

„ამ რიგად, როგორც ჰხედავთ, სათეატრო ხელოვნებამ შემოიარა დიდი ფარგალი და მიაწია მსახიობის პიროვნებამდე, მის სამეფომდე... მაგრამ ეს ფარგალი, ეს გზა უსათუოდ უნდა განევლო, რადგან ბევრს ეხლაცა ჰგონია, რომ მსახიობის სამეფო არის შაბლონი და არაბუნებრიობა. ჩვენს თეატრში არასოდეს არა ყოფილა ისეთი ერთსულოვნება მიმართულებისა, როგორიც არის ეხლა“...

„მე საზოგადოდ,—დაუმატა ნემ.-დანჩენკომ,—დამშვიდებით ამაზე ლაპარაკი არ შემიძლიან და უნდა გითხრათ, ამაზე ფიქრით სავსეა მთელი ჩემი არსება. ძნელია აუღელვებლად ილაპარაკო იმაზე, რაც შეადგენს მთელ შენს სიცოცხლეს“...

„ანათემის“ აკრძალვის შესახებ აქ, მოსკოვში გავრცელებული ხმები მართალი გამოდგა. ამას სცდილობს ერთი აქაური გავლენიანი სამღვდელო პირი. დღეს ნემიროვიჩ-დანჩენკო პეტერბურგში მიდის პრემიერ მინისტრთან, სტოლიპინთან, „ანათემის“ შესახებ მოსალაპარაკებლად.

ვალ. მალიკაშვილი.

---

**ქუთაისი.** დაიღალა ქუთაისის საზოგადოება სცენაზედაც სულ იმგვარ დრამა-ტრაგედიების ცქერით, როგორსაც უხვად იძლევა ჩვენი დუხჭირი ცხოვრება, მოშხამულ-მოწამლული, როგორსაც მუდამდღე ვხედავთ ჩვენს გარშემო, ჩვენსას თუ სხვისას... ამიტომ მეტად საჭირო იყო ერთი მისი გულიანად გაცინება, რომ ერთ საღამოს მაინც თვალიდან მოეშორებინა ჩვეულებრივი გულსაკლავი სურათები; თავის მოსატყუებლად მაინც გაღიმებულიყო მისი დახშული გული და მუდამ მოღუშული, ჩამომტირალი სახე გახსნილ-გამხიარულებულიყო. თუმცა ცრემლნარევი კი არის ასეთი სიცილი, მაგრამ მაინც სასიამოვნოა.

და აი, დრამატიულმა დასმაც 1 ნოემბერს სავსებით დააკმაყოფილა ამ მხრით საზოგადოების მოთხოვნილება. წარმოდგენილ იქმნა კომედია „ზოგი ჭირი მარგებელია“. პიესის დედა-აზრი ახალს, საინტერესოს არას წარმოადგენს, ვიტყვი მხოლოდ, რომ პიესა მეტად მხიარული, სასაცილოა და კარგადაცაა გადმოქართულებული (მხოლოდ ზოგან შევხვდებით ისეთი სიტყვები, როგორც, მაგალითად „ოფლის ჩაი“, „საოფლე ჩაი“-ს ნაცვლად). წარმოდგენამ საზოგადოდ მწყობრად, მეტად მხიარულად ჩაიარა. პიესის მთავარ როლს, ნიკოლოზ ფაცურაშვილისას, ასრულებდა ამ წარმოდგენისათვის საგანგებოდ მოწვეული ვ. აბაშიძე, რომლის სცენაზე გამოჩენას ტაშის ცემით მიეგება საზოგადოება. მან, როგორც მოსალოდნელი იყო მშვენივრად შეასრულა ნაკისრი როლი. თუმცა, ეტყობოდა, მუხლები ცოტათი ღალატობდა და თავისუფლად მიხვრა-მოხვრას უშლიდა, მაგრამ ეს თამაშს არ ახდენდა, რადგან არც ნიკოლოზ ფაცურაშვილი უნდა ყოფილიყო მაინცა-დამაინც მუხლ-მაგარი და ფეხ-მარდი. სამაგიეროდ, ყოველი მისი სიტყვა, სახის გამომეტყველება დაუსრულებელ სიცილს იწვევდა საზოგადოებაში. ორ უკანასკნელ მოქმედების განმავლობაში მაინც განუწყვეტელი, ჰომერიული სიცილი იდგა თეატრში. შესანიშნავი რამ იყო ვ. აბაშიძის სახის გამომეტყველება განსაკუთრებით მეორე მოქმედების უკანასკნელ სცენაში, როდესაც ნიკოლოზი თავის ცოლს ვიღაც უცნობის კისერზე ჩამოკიდებულს დაინახავს. კარგად ჩაატარა ბ-ნმა გუნიამ მოხუც არშიყის სოფრომ ზუმპულაძის როლი; მხოლოდ ცოტათი აჭარბებდა და მიხვრა-მოხვრა ერთობ ყმაწვილური გამოუდიოდა. ბ-ნმა კორიშელმა მოხდენილად შეასრულა იმერელ მსახურის ილარიონის როლი.

ანსამბლს სხვებიც საკმაოდ უწყობდნენ ხელს, მხოლოდ ქ-ნმა ასათიანის ასულმა ვერ შესძლო ფაცურაშვილის ქალის ტასოს დასურათება. საჭიროა, მან მეტი ყურადღება მიაქციოს სცენაზე თავის დაჭერას და თავისუფლად ლაპარაკს. ხმა ცუდი არა აქვთ, მაგრამ სრულიად დაუმუშავებელი, მოუქნელია. მეტად გაბმული და ჩქარი ლაპარაკი იცის, რის გამო ზოგიერთი ასო იყლაპება, არ ისმის. მე ვერ გამიგია, რატომ მისცეს ქ-ნს ასათიანის ასულს ტასოს როლი, როდესაც ქ-ნი დავითაშვილის ასული გარეშე მაყურებლად იჯდა თეატრში. ეს უკანასკნელი ჩინებულად შეასრულებდა ტასოს როლს.

ერთი შენიშვნაც: მესამე მოქმედების ბოლოს ფარდა უდროოდ ჩამოუშვეს, რის გამო ნიკოლოზის მიერ სესია გლეხისადმი მიმართული კითხვა: „შენ კიდევ აქ რა გინდა“, უპასუხოდ დარჩა.

დასასრულ, ვოდევილმა „არც აქეთ არც იქით“, ბევრი აცინა საზოგადოება. ვ. აბაშიძე (ავტორი ტარასი მშიერაძე) ვოდევილშიაც ისეთივე მშვენიერი იყო, როგორც კომედიაში. კარგი იყო აგრეთვე ბ-ნი ყალაბეგაშვილი (ვარდენ გარდუნჩაძე).

წარმოდგენას დიდ ძალი საზოგადოება დაესწრო.

---

**ქართული თეატრი.** გავახსენებთ მკითხველებს, რომ დღეს ქართულ თეატრში წარმოდგენილი იქნება სცენები იმერეთის ცხოვრებიდან „სალხინო“, გადმოქართულებული ივ. ბარველის-მიერ. ამ პიესის აზრი აღებულია ჩეხოვის „ალუბლის ბაღიდან“. პიესა წარსულ სეზონში პირველად წარმოადგინეს.

---

**მსახიობ ქალის ავადმყოფობა.** მსახიობი ქალი მდივანი ერთი თვეა, ავად არის. მალიარია აქვს. ამ მიზეზით წარმოდგენებში მონაწილეობას ვეღარ იღებს.

---

**ქართული წარმოდგენები სახალხო სახლში.** ზუბალაშვილის სახელობის სახალხო სახლში, როგორც მკითხველებმა იციან, სახალხო იაფ ფასიან წარმოდგენების გასამართავად კვირაში ერთი დღე აქვს დათმობილი ქართულ დრამატიულ საზოგადოებას. ამ ერთი დღით აქამდე სარგებლობდა სახალხო უნივერსიტეტის ქართულ წარმოდგენების სექცია. ამ დღეებში ქართ. დრამატიულ საზოგადოების გამგეობამ მისწერა სახალხო სახლის საქმეთა კომისიის, დათმობილ დღით ჩვენ გვინდა ვისარგებლოთ წარმოდგენების გასამართავად და ნურავის ნუ მისცემთო. 3 ნოემბერს მოხდა სხდომა ქალაქის გამგეობისა და სახალხო სახლის გამგე კომისიისა. შეერთებულმა სხდომამ, სხვათა შორის, დაადგინა გარდა დრამატიულ საზოგადოებისა, არავის დაუთმოს აღნიშნული დღე. სახალხო კონცერტების დასადგმელად და საოპერო წარმოდგენების გასამართავად კვირაში ერთი დღე მიეცა სახალხო სახლთან დაარსებულ სამუსიკო საზოგადოებას.

# ჟურნალ „ნაკადულის“ ანგარიში

დღეს, 6 ნოემბერს, შესრულდა 5 წელიწადი მას აქეთ, რაც გამოვიდა პირველი ნომერი საყმაწვილო ჟურნალ „ნაკადული“-სა. მოგვყავს ცნობები ამ ჟურნალის გავრცელებისა და შინაარსის შესახებ.

1905 წელს ჟურნალი გამოდიოდა თვეში სამჯერ,—მოზრდილებისა და მცირე წლოვანთათვის; წლის განმავლობაში დაიბეჭდა სულ 43,200 ცალი. ამავე წელს დაიბეჭდა დამატებანი: ზოდბერის ზოოლოგია, პედაგოგიური ფურცლები, ორი საბავშო პიესა, ახალი სკოლა—პეტრე სურგულაძისა.

| | |
|---|---|
| დამატებათა რიცხვი . . . | 10.800 ცალი, |
| ჟურნალით სულ . . . | 54.000 ცალი, |
| 1906 წ. დაიბეჭდა ჟურნალი და დამატებანი . . | 27.300 ცალი, |
| 1907 „ პრემია „გრიმის ზღაპრები“ . . . | 44,400 ცალი, |
| 1908 „ პრემიით . . . | 33.600 ცალი, |
| 1909 „ . . . | 26.400 ცალი. |

ხუთი წლის განმავლობაში სულ დაიბეჭდა 185.700 ცალი.

ჟურნალში შემდეგი ავტორების ორიგინალური ნაწარმოებია: ლექსები:

| | |
|---|---|
| აკაკისა . . . | 2 |
| ვაჟა-ფშაველასი . . . | 21 |
| მიო მღვიმელისა . . . | 34 |
| მეღლიშვილისა . . . | 21 |
| თომაშვილისა . . . | 9 |
| **მოთხრობები:** | |
| ვაჟა-ფშაველასი . . . | 10 |
| განდეგილისა . . . | 7 |
| ერისთავ-ხოშტარიასი . . . | 2 |
| ცქიტისა . . . | 26 |
| თედო რაზიკაშვილისა . | 22 |
| ნინო ნაკაშიძისა . . . | 22 |

ამას გარდა, ჟურნალში იბეჭდებოდა თარგმანები, სხვა და სხვა სამეცნიერო წერილები, გასართობები, რებუსები, შარადები და სხვა.

ჟურნალში მონაწილეობას იღებენ მხატვრები: შმერლინგი, როტერი და სხვანი.

# ახალი კანონ-პროექტი

**ფარმაცევტთა შესახებ**

ეს ოცი წელიწადი მეტია, რაც ფარმაცევტთა ახალ წესდებას გვპირდებიან. აგერ წელსაც პეტერბურგში საგანგებო კომისია მუშაობდა საექიმო ნაწილის მთავარ ინსპექტორის თავმჯდომარეობით. სხვათა შორის შეიმუშავა ახალი პროექტი აფთიაქში შეგირდების მიღებისა და საზოგადოდ ფარმაცევტთა განათლების ცენზის შესახებ. კანიკულების შემდეგ, სექტემბრის 15 და 22, ორ სხდომაზე ეს ახალი პროექტი (განყოფ. მე-4) ხელ-ახლა გადასინჯა სამკურნალო საბჭომ; ხმის უმეტესობით ეხლანდელის წესით აფთიაქებში შეგირდობა უარ ჰყო და სასურველად სცნო ფარმაცევტთათვის სპეციალურ სკოლების დაარსება. ამ სკოლებში ორი წლის კურსი იქნება შესაფერის პროგრამით (სტ. 78). შეგირდებად მიიღებიან გიმნაზიაში ექვსს კლასს შესრულებულნი ვაჟნი და გიმნაზია გათავებული ქალნი. ამ სკოლაში კურს დამთავრებულთ ნება ეძლევათ ეგზამენი დაიჭირონ უნივერსიტეტში აფთიაქის თანაშემწეობაზე, რის შემდეგ **მაინც** აფთიაქში უნდა გაატარონ ერთი წლის პრაქტიკა (მუხ. 64—81).

სამკურნალო საბჭოს ამგვარ პროექტს გაზ. „ბირჟ. ვედომ.“ რაღაც სენსაციურ ხასიათი მისცა. ამ გაზეთის მიხედვით სხვა გაზეთებმაც დაბეჭდეს ვითომ „განსაკუთრებულ ცირკულიარით სამკურნალო საბჭომ აუკრძალა აფთიაქებს ამიერიდან შეგირდების მიღება, რადგან ამ ჟამად მუშავდება საგანგებო კანონ-პროექტი სპეციალურ სკოლების დასაარსებლად, სადაც მომზადდებიან აფთიაქებისთვის შეგირდებიო“; უეჭველია ამ განცხადებამ უნებლიედ შეაცდინა იმ შენიშვნის ავტორიც, რომელიც გაზ. „დროება“-ში გულ-კეთილობით ურჩევდა ყმაწვილებს: ტყუილა თავს ნუ-ღა იტკიებთ, შეგირდების მიღება აფთიაქებში უკვე აკრძალულიაო. ისიც უეჭველია, რომ ამ აჩქარებულმა შენიშვნამ გასჭრა და ბევრი დააფრთხო.

მე კი ვაცხადებ და დარწმუნებულიცა ვარ, რაკი ოცი წელიწადია რა ვერაფერს დასკვნას ვერ დაადგენ, ახლაც, ვიდრე ფარმაცევტთა ახალი წესდება [illegible] ვლის (სახელმწ. სათათბ. და სახელმწ. საბჭო) და [illegible] ცდება, ბარე 2—3 წელიწადი გაივლის. მანამდე კი რაღა უნდა დაეხშოთ გზა უსახსრო, ღარიბ ყმაწვილ კაცებს? ისიც შესაძლებელია რომ სახელმწიფო სათათბიროში არ მოიწონონ პროექტი, რადგან ექვს კლასს ვინც გაათავებს, ის ხელ-ახლად არ შევა იმ სკოლაში, სადაც ორი წელიწადი დრო უნდა მოანდომოს, ფული ხარჯოს და უნივერსიტეტში ეგზამენის შემდეგ კვლავ ერთი წლით აფთიაქში პრაქტიკისათვის შეგირდად მიებაროს. 9—10 წელიწადს უნდება, ვიდრე პროვიზორის თანაშემწის დიპლომს მიიღებდეს.

არავისთვის საიდუმლო არ არის, რომ აფთიაქებს სიმპატიის გამო კი არ ელტვიან, უფრო ხელმოკლეობის გამო ეტანებიან. ეხლანდელ წესით საჭიროა გიმნაზიის ოთხი კლასის მოწმობა ანუ სამოქალაქო სკოლისა და ლათინურიდან და ფრანგულიდან დამატებითი ეგზამენი (ოთხ კლასის კურსი), ჰო და მხოლოდ გიმნაზიის მოწმობის (4 კლას) მიღება უჭირს! მერე, რაკი აფთიაქში მიიღებენ, მორჩა, თუ გინდ მაგისტრობაზე შეუძლიან გაათაოს (მატერიალურად იმდენად უზრუნველყოფილია), რადგან აფთიაქის პატრონი შეგირდს ინახავს კიდეც, ასწავლის კიდეც და ჯამაგირსაც აძლევს. ხოლო აფთიაქში სამი წლის შეგირდობის შემდეგ უფლება აქვს პროვიზორის თანაშემწის ეგზამენი მისცეს რომელსამე უნივერსიტეტში. თანაშემწის ხარისხით კვლავ სამ წელიწადს მსახურებს და ჯამაგირიც ერთი ოთხად ემატება, შემდეგ უფლება ეძლევა უნივერსიტეტში ორი წლის კურსის ლექციები მოისმინოს და პროვიზორობაზე დაიჭიროს ეგზამენი. პროვიზორს 60—100 მან. ჯამაგირი ეძლევა თვეში მზა-მზარეულზე. მსურველს შეუძლიან (პროვიზორს) სწავლა განაგრძოს, მაგისტრობაზედაც დაიჭიროს ეგზამენი, ერთი წლის მომზადების შემდეგ. ჩვენ პირადად ვიცნობთ რამდენსამე მაგისტრს, რომელნიც დღესაც ფარმაციის პროფესორები არიან და ფარმაცია-ფარმაკოგნიზიის ლექციებს კითხულობენ რუსეთის უნივერსიტეტებში. ყველა ამათ ზემოდ-აღნუსხული სტადია აქვთ გავლილი და ზოგს მეცნიერებაშიაც აქვს სახელი მოხვეჭილი.

ახალ პროექტის სკოლა-კი ხელს არ მისცემს უმეტესად ღარიბ ხალხს. ექვს კლასს შესრულებულმა უნდა ორი წელიწადი კიდევ ხარჯი გასწიოს ფარმაცევტთა სკოლაში. ამ ტიპის სკოლა ყველა ქალაქში ვერ მოხერხდება, რადგან რთული პროგრამმა აქვს (ანატომია, ფიზიოლოგია, ჰიგიენა, ფარ-მაკოლოგია, ფარმაცია, რეცეპტურა, ფარმაკოლოგია, ბოტანიკა, ზოოლოგია, ფიზიკა, ქიმია, მინერალოგია და სხვა და სხვა). მაშასადამე, თავის შესანახიც უნდა გაიღოს მოსწავლემ სხვა ქალაქში წასვლით; ჰო და, თუ კი შეძლება მაქვს ამდენ ხარჯს გაუძლო ბარემ გიმნაზია გავათავო!

ამ ექვსიოდე წლის წინად კავკასიის ფარმაცევტთა საზოგადოებამ ერთხმად დაადგინა: ყმაწვილ კაცს, ვინც ასპარეზად ფარმაციის შესწავლას აირჩევს, აფთიაქში შეგირდათ მიღების დროს კლასსიკურ გიმნაზიის ექვსი კლასის ცენზი მოეთხოვოს. ამ გვარად ჩვენ თითონ ვგრძნობთ, რომ ოთხი კლასის საზოგადო განათლების მიღება (ზოგჯერაც ვაინაჩრობით) მეტად მცირეა ჩვენს დროში, როდესაც ინტელიგენტს მეტად ბევრი მოეთხოვება. ვიმედოვნებთ, რომ სკოლაში შესვლა ღარიბს გაუძნელდება ხოლო შეძლებულს თქვენი ფარმაცია სულაც არ ეპიტნავება. ის გაათავებს გიმნაზიას და უნივერსიტეტში შევა.

ბოლოს ისიც უნდა დავ[illegible] რომ ახალი კანონ-პროექტ[illegible]

უკრძალავს აფთიაქში ექვს კლასიან მოწმობით შეგირდად შესვლას, იმ განსხვავებით კი, რომ ფარმაცევტიულ სკოლაში სწავლა დასრულებულთ ნება ეძლევათ იარონ პროვიზორობამდე და თუ გინდ მაგისტრობამდე, ხოლო სკოლის გარეშეთ (ექვს კლასელებმა) ოთხი წელიწადი აფთიაქში უნდა დაჰყონ და პროვიზორის თანაშემწის ზევიდაც ვეღარ წავლენ (ნება არ ეძლევა). ესე იგი ფარმაცევტთა ასპარეზი ორ ხარისხად განისაზღვრება (მუხ. 86). ექვს კლასს გათავებულმა ოთხი წელიწადი აფთიაქში ვიშეგირდო და გზაც დახშული მქონდეს! შეუსაბამოა.

კავკასიის ფარმაცევტთა საზოგ. ყოფილი თავმჯდომარე.

## ჩემი პასუხი*)

(წერილი რედაქციის მიმართ)

გაზეთ „ბათუმის იზვესტია“-ს, რომლის ოფიციალური რედაქტორი მე გახლავარ, და ბათუმის ქალაქის თვითმართველობის შორის ატეხილ აურ-ზაურის გამო თქვენ უკვე მოათავსეთ რამდენიმე წერილი: ერთი „ნარკვევში“, მეორე კორესპონდენცია, სათაურით „ხმა ბათუმიდან“ და მესამეც მეთაური. ამ გარემოებას შეეხნენ აგრეთვე „ზაკავკაზიე“ და „მომავალიც“. ყველა ამ წერილებში, გარდა „ხმა ბათუმიდან“, ის აზრი იყო გატარებული, რომ გაზ. „ბათუმ. იზვ.“ ამხედრებულია ბათუმის ქალაქის საბჭოს წინააღმდეგ, სახელდობრ კი ბ-ნთ ანდრონიკაშვილის, ჟურულის, გაბურელიძის და აგრეთვე ექიმ ელიავას წინააღმდეგ, მხოლოდ იმიტომ, რომ მათ დაითხოვეს სამსახურიდან მამა ჩემი, და მით გააბრაზეს როგორც მე, ისე ჩემი თანამშრომლები. აქვე არ შემიძლიან არ აღვნიშნო ის წვრილმანი გარემოება, რომ მამი-ჩემის გაუბედურებაში ექიმ ელიავას პირადად არავითარი მონაწილეობა არ მიუღია, მაგრამ თუ დღეს მასაც ადგილობრივი გაზეთი მოსვენებას არ აძლევს, მან ეს მის წარსულ და აწმყოს დაუმადლოს.

რედაქციის გამგემ ბ ნმა დემურიამ „ზაკავკაზიეს“ ამ საკითხის გამო ვრცელი წერილი გაუგზავნა. მაგრამ ხსენებულ გაზეთის რედაქციამ არ ინება მისი დაბეჭდვა და, როგორც მოგეხსენებათ, ახსნა კიდევაც თავისებურად, თუ რისთვისა სთქვა უარი დაბეჭვდაზე. რამდენად მართალია პატივცემული რედაქცია ამ-საქციელში, ეს თვით მკითხველის მსჯავრისათვის მიმინდვია. მხოლოდ საჭირო-კია, თუ ერთის პიროვნების დაცვას მოინდომებენ შეურაცხყოფისაგან, მეორეც არ უნდა დაივიწყონ ხოლმე, მით უმეტეს, როგორც თვით გაზეთი ამბობს, ბ-ნთ ჟურულს, ელიავას და სხვებს ყველა იცნობს და მათი სახელის გატეხა უფრო ძნელია, ვიდრე ჩემი, რომელიც სულ ორიოდე წელი თუ იქნება, რაც სამშობლო მხარეში ვიმყოფები და ვერავინ ვერ მიცნობს. ამისათვის გთხოვთ, მეც მომისმინოთ. იმედი მაქვს, თქვენ მაინც მომცემთ ნებას, თქვენის გაზეთის საშუალებით გავაცნო მკითხველებს საქმის ვითარება.

„დროების“ მე-234 ნომერში ბ-ნი H სწერდა; „ბატ. იზვეს.“ ირწმუნება, ჩვენ ბერეჟიანს და ხოშერიკს არ ვიცავთო. ფორმალურად მართალია. არ იცავს დავერც დაიცავს, ძალიანაც რომ ეცადოს, მაგრამ არსებითად უფრო ეჭვს გარეშეა, რომ გაზეთის მთელი შურის მაძიებელი კომპანია ქალაქის გამგეობის წინააღმდეგ სწორედ ბერეჟიანისა და ხოშერიკის სამსახურიდან დათხოვნითაა გამოწვეული“-ო.

ვნახოთ, რამდენად მართალია ეს ამბავი. წინდაწინვე ბოდიშს ვიხდი, თუ ცოტა ოდნად წერილი გამიგრძელდება. საჭიროდ მიმაჩნია შევეხო ჩემი რედაქტორობის ისტორიასაც. მართალია, ამ ისტორიაში ახალი არაფერი არ არის, დღევანდელ პირობებისა გამო უმეტესი ნაწილი რედაქტორებისა ჩემებურია, მაგრამ საგულისხმო იმითი იქნება, თუ რამდენად მართალნი არიან ის ბათუმელნი, რომელთა წყალობითაც დღეს ტფილისის პრესამ ჩემს წინააღმდეგ გამოილაშქრა. ერთი წლის წინად რუსეთიდან ბათუმში ჩამოსვლა მომიხდა იმ დროს, როცა ადგილობრივ გაზეთის გამომცემელის ქართველთა ჯგუფი ეძებდა სარედაქტოროდ სწორედ ვისმეს, რომელსაც მთავრობა დაამტკიცებდა. ამგვარ კაცად მე მიმიჩნიეს და მთხოვეს მეკისრა ეს საქმე. მეც დავთანხმდი მხოლოდ იმ პირობით, რომ მე თავისუფალი უნდა ვყოფილიყავი ყოველივე პასუხის გებულებისაგან, როგორც ნივთიერის, ისე მიმართულება-შინაარსის მხრივ: ამ უკანასკნელ გარემოების შესახებ ბევრი ლაპარაკი არ დამჭირებია, რადგან გაზეთს აშკარადა ჰქონდა გამორკვეული თავისი მიმართულება და თან დამოკიდებულება ადგილობრივ ქალაქის საბჭოსთან. გაზეთისათვის პირად შრომისაგანაც თავისუფალი ვიყავ, რადგან არც დრო და არც სხვა რამ ხელს არ მიწყობდა; ასე რომ კვირაობით და თვეობითაც მე რედაქციაში არ შევდიოდი, ვინაიდან ჩემს მოვალეობას მარტოდ-მარტო მთავრობის წინაშე პასუხისმგებლობა შეადგენდა. ამგვარი ჩემი დამოკიდებულება გაზეთთან არავისათვის საიდუმლო არ იყო: ეს გარემოება თითქმის მთავრობამაც იცოდა და, რასაკვირველია, იმ იმათაც ძლიერ კარგად იცოდნენ, ვინც გაზეთებში აცხადებდა, რომ მე გაზეთის მომქმედი რედაქტორი ვიყავი, რომელზედაც არის დამყარებული ყოველივე აგ-კარგი გაზეთისა. ამგვარად, იმისი თქმა, რომ მე გაზეთის მომქმედი რედაქტორი ვიყავი, პირველი ჭორი იყო ჩემზე.

მეორე ჩემ დანაშაულად ის ჩასთვალეს, ვითომ გაზეთ „ბატ. იზვ.“ ის გალაშქრება ბ-ნ გიორგი ჟურულის წინააღმდეგ მჭიდროდ იყოს დაკავშირებული ქალაქის საავადმყოფოს რევიზიასთან, ვითომ მხოლოდ ამ დროს და ამის გამო მოვაშვებინე სადანძლავ გუდას თავი „ჩემი გაზეთის“ თანამშრომლებს, რათა გ. ჟურულის დანძლვაგინებით მამა ჩემი და ხოშერიკი დამეფარა. გავშინჯოთ ეხლა და გავიგოთ, რამდენად არის სიმართლესთან დაახლოვებული ეს ბრალდება. დაპირებისამებრ ჩემი მოვალეობა შევასრულე მით, რომ მთავრობისაგან 11 თებერვალს 1909 წ. ნებართვა მოუტანე თანამშრომლებს. დანარჩენი კი მათი საქმე იყო. ისინიც შეუდგნენ საქმეს, გაზეთი გამოდიოდა თავის დროზე შესაფერის, ძველებური შინაარსით და მეც ისე ვკითხულობდი ამ გაზეთს, როგორც ყველა დანარჩენი მოქალაქე. საქმე მიდიოდა ასე იმ დრომდე სანამ ერთი წერილის გამო გაზეთი არ დახურეს, უმთავრესი თანამშრომელი—ხელმძღვანელი ბ-ნი დემურია და ზოგიერთი ასოთამწყობი არ გაგზავნეს ბათომიდან. გავიდა ერთი კვირა და დარჩენილმა დამშეულმა მუშებმა ხელ-მეორედ მომმართეს, კვლავ გამეწია შუამდგომლობა მთავრობის წინაშე და გაზეთის ნებართვა ამეღო. მეც დავთანხმდი მათ თხოვნაზე, თუმცა ჩემთვის ნათელი იყო ის გარემოება, რომ უთანამშრომლოდ და უხელმძღვანელოდ გაზეთის გამოცემა მოუხერხებელი იყო. დამშეული მუშები მაინც თავისას თხოულობდნენ, ვინაიდან გაზეთის დახურვის შემდეგ მათ წინაშე პასუხის მგებელი ნივთიერად არავინ იყო. გაზეთის გამომცემელნი იგივე მუშები და თანამშრომლები იყვნენ. მუშებმა აიძულეს მეორე თანამშრომელი, სტუდენტი ნიკოლი, ხელმძღვანელობა ეკისრა. ამგვარად, გამოვიდა ხელ-მეორედ გაზეთი, მთელი ორი კვირა ერთად-ერთი ნიკოლი ჯახირობდა რედაქციაში და მისი შემწე არავინ იყო. პირადად მე, როგორც მოგახსენეთ, ვერავითარ დახმარებას ვერ ვუწევდი, რადგან არც გამოცდილება და არც დრო მქონდა ამისთვის. დანარჩენნი კი, ქალაქის საბჭოს გარშემო მყოფი ეგრედ წოდებული „ინტელიგენცია“ ისე უყურებდა ამ გარემოებას, თითქოს მართლა პალმი ჩავარდნილიყოს ასეთ გასაჭირში, თუმცა ყველა მათგანს პირზე აკერია „ქართველი“, „საზოგადო საქმე“ და სხვა ამგვარი მშვირალა სიტყვები. ისე განდიდებულნი არიან, რომ მათი გაკიცხვა მთელი საქართველოს დაღუპვა ჰგონიათ; საქმით კი მათზე უფრო „მიკროცეფალებს“ ძნელად ნახავთ.

დიახ, ბ-ნო რედაქტორო, სწორედ იმ დროს, როცა ადგილობრივი გაზეთი ბათუმის მიტოვებულ ქართულ ელესიას წარმოადგენდა უსახსრობისა გამო, შიგ შევიდა სრულიად თავისუფლად ვიღაც ალიბეი, რომლის ვინაობა დღესაც არავინ იცის. მის რედაქციაში დაბუდრებას თან მოჰყვა ყოველივე ის არევ-დარევა, რომლის შესახებაც ეხლა ამდენი ლაპარაკი და მითქმა-მოთქმაა. მართლაც ალიბეიმ კამოაცოცხლა გაზეთი. თითქმის მთელ გაზეთს ის ავსებდა თავის წერილებით და პირველ ხანებში მას სრულიად არ უღალატნია გაზეთის ტრადიციურ მიმართულებისათვის. გავლენა ალიბეისა რედაქციაში დღითი-დღე იზრდებოდა: ჯერ ერთი იმითი, რომ უფასოდ იკისრა მუშაობა და მუშაობდა კიდევაც ერთ-ხანს, მეორეც კიდევ იმიტომ, რომ იმ ხანებში ხელ-ახლა დაკეტეს გაზეთი. მე პირადად აღარ შემეძლო მოვქცეულიყავ, სადაც ჯერ არს, გაზეთის დასახსნელად. ეს საქმე ალიბეიმ იკისრა, იხსნა კიდევაც გაზეთი, მაგრამ ამით პატრონობაც მან იკისრა. მეც წინააღმდეგი აღარ გავხდავარ, ვინაიდან ჩემთვის საკმარისი იყო ის გარემოება, რომ ალიბეისთან ერთად მუშაობდა ძველი თანამშრომელი გაზეთისა სტუდენტი ნიკოლი. ხელ-ახლა გაჩაღდა გაზეთის საქმე, მაგრამ ხანგრძლივი არა ყოფილა მუშაობა ბათუმის გაზეთისა. ბევრჯელ დაუხურავთ, ბევრჯელ დაუჯარიმებიათ და ბევრჯელ გაურეკ-გამოურეკიათ თანამშრომლები ამ გაზეთისა, მაგრამ უკანასკნელი უბედურება მეტად სამძიმო შეიქმნა, და ეს იყო შემდეგი: ბათუმის ქალაქის საბჭოს ერთ სხდომას ალიბეიც დაესწრო. ამ სხდომის საგანს, სხვათა შორის, შეადგენდა ქალაქის ხარჯზე ნავთ-სადგურში საქონლის საწყობად შენობის აგებას. ამ დასწრების მეორე დღესვე ალიბეის ფელეტონი მოჰყვა, რომელიც დაიბეჭდა წარსულ მაისის 21 რიცხვს, მე-74 ნომერში. ალიბეი ბ-ნ გ. ჟურულს სრულიად არ იცნობდა. საავადმყოფოს რევიზია უკვე სწარმოებდა, მაგრამ მისი ამბავი არავინ იცოდა. გაზეთშიაც არა დაუბეჭდიათ-რა ამის შესახებ, ასე რომ სულ ბრიყვად უნდა ჩამთვალოს ადამიანმა, თუ ვერ მივხვდი იმ უბრალო ჭეშმარიტებას, რომ რევიზიის დროს და მის დამთავრებამდის ჟურულის წინააღმდეგ რისიმე დაწერა მამა ჩემის დაკვლა იქნებოდა, მაგრამ, როგორც მოგახსენეთ, გაზეთის საქმეში მე არ ვერეოდი და ამის გამო ჩემდა მოულოდნელად წავიკითხე ზემოთ ხსენებულ ნომერში, სხვათა შორის, შემდეგი: „თავმჯდომარე ჟურული რბილად აგებს შემპარავი ხმით, „ვინაიდან ეს, ვინაიდან ის“... ჟურულმა დახუჭა რა თვალები მარმალადივით ჩაიღურღულა და დაიწყო მტკიცება .. ჟურული თვალს უშვრება ხმოსან ქიქოძეს და იმავე დროს მაცდურად უცინის ხმოსან მავროპულოს“*). ეს ორი ხმოსანი უმეტეს ნაწილად ერთმანეთის მოწინააღმდეგენი არიან და განსაკუთრებით იმ სხდომაზე მათი წინააღმდეგობა აშკარა იყო. მართლაც, ჟურული უნდა იყოს ადამიანი, რომ ორივეს აამოვნოს. ეს მოხერხა იმ სადამოს ბ-ნმა ჟურულმა და ეს აღნიშნა მეორე დღეს თავის ფელეტონში ალიბეიმ. საკმარისი იყო ეს გარემოება, რომ ერთი საშინელი ქარიშხალი ატეხილიყო ბათუმში. ბ-ნ ჟურულის დამქაშები და მათ შორის გამყრელიძე ქუჩიდან-ქუჩაზე, სახლიდან სახლში გადიოდნენ, ალი-ბეის ჯულიგანად აცხადებდნენ და თხოულობდნენ მის დათხოვნას, გაზეთის დაკეტვას, ნიკოლის გამათრახებას, მაგრამ ვისგან თხოულობდნენ ყოველსავე ამას, დანამდვილებით ვეღარ ამბობდნენ. უწინარეს ყოვლისა გაზეთის დახურვაზე ლაპარაკი არ შეიძლებოდა, რადგან მუშებს ძლიერ სურვილი ჰქონდათ თვლითა თვისითა მოეპოვათ პური თვისი; რაიცა შეეხება ალიბეის დათხოვნას, არც ისე ადვილი შეიქმნა ეს საქმე, რადგან ჯერ ერთი—ალიბეის წასვლის შემდეგ გაზეთს პატრონი ეკარგებოდა, მეორე კიდევ —ალიბეის კავშირი ადგილობრივ ქართველ-მაჰმადიანებთან მეტად მძლავრი შეიქმნა, რადგან თითონაც მაჰმადიანი იყო. ატეხილი მითქმა-მოთქმა ალიბეის ყურამდის მიდიოდა და, რასაკვირველია, ყოველივე ეს მას ერთგვარად ამზადებდა. მიუხედავად ამისა, ნიკოლი მაინც მოწადინებული იყო ალიბეი თავიდან მოეშორებინა.

გაზეთ „ბატ. იზვ.“-ს რედაქტორ-გამომცემელი ვ. ბერეჟიანი.

(შემდეგი იქნება)

*) Председательствующій Журули мягко стелетъ вкрадчивымъ голосомъ „Что ежели, то ежели что“... Журули, зажмуривъ глазки, мармеладно замурлыкалъ, доказывая... Журули строитъ глазки Кикодзе и въ тоже время соблазнительно улыбается въ сторону Мавропуло.

*) ამ წერილის შეხახებ რედაქცია თავის აზრს გამოსთქვამს. რედ.

## წერილი რედ. მიმართ

ბ-ნო რედაქტორო! უმორჩილესად გთხოვთ, ადგილი დაუთმოთ თქვენს პატივცემულ გაზეთში ამ მოკლე წერილს.

მივიჩნიეთ რა საჭიროდ ბოლო მიეცეს ჩვენსა და ბათუმის ქალაქის თვითმართველობას ზოგიერთ წარმომადგენელთა შორის დაწყებულ „ბრძოლას“ და იმ „პოლემიკას“, რომელიც გამოიწვია ამ „ბრძოლამ“, სიმართლის გამოსარკვევად ჩვენ ვცნობთ რიგიანად გადაეცეს საქმე განსახილველად არჩეულ სამსჯავროს. წინადადებას ვაძლევთ დაინტერესებულ პირებს ბათუმის ქალაქის თვით-მართველობისას და აგრეთვე ტფილისის პრესსის წარმომადგენლებს, ვისაც კი სურს სიმართლე აღადგინოს, დანიშნონ თავიანთ მხრით ორი წევრი სამსჯავროსი. თუ თანხმობა იქნება, ჩვენც დავასახელებთ ორ პირს. ეს ოთხი კაცი აირჩევს თავმჯდომარეს და გაარჩევს საკითხს: „რამდენად საფუძვლიანი იყო ჩვენი გალაშქრება ბათ. ქალ. თვითმმართველობის ზოგიერთი წარმომადგენლების წინააღმდეგ და რამდენად უღალატეთ ჩვენ პრინციპს და ტრადიციებს“?

დადგენილება უნდა გამოცხადდეს გაზეთებში.

გაზ. „ბატ. იზვესტია“-ს რედაქცია.


## განცხადებანი

კირველი კერძო სამკურნალო
### დოქტ. ნავასარდიანისა
დაარსებულია 1880 წელს.
(ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)
ყოველ დღე, კვირეებს გარდა

დ ი ლ ი თ:

ბ. ა. ნავასარდიანი: 11—12 ს. ქირურგიული, ვენერიული (სიფილ.) ავად.
ყ. მ. ჩიქოვანი: $9^{1/2}$—10 ს. თვალი, სა, შინაგანი და ნერვებისა.
ზ. ი. ბაბანახოვი: 10—11 ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა.
ნ. ტ. მულინი: 10—12 ს. ყურისა, ცხვირისა და ყელისა.
მ. გ. ბვეტიხიანცი: 11—12 ს. კანისა-სიფილისი, ვენერ., საშ. და ქირურგ.
ა. მ. პუგინოვი: 12—1 ს. შინაგან. ბავშვებისა და ყვავილის აცრა.
ა. ი. კარაპეტიანცი: 1—$1^{1/3}$ ს. შინაგან და საბავშვო.
ნ. ვ. ალბრეხტი: 12—$1^{1/4}$ ს. შინ. და ბავშვ.
ო. ვ. გეევსკაია-ენგელი: 12—1 ს. საშ., ქალ. და ბავშვ.

ს ა ღ ა მ ო თ ი:

ო. ვ. გეევსკაია-ენგელი: 6—$6^{1/2}$ ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა.
ი. ფ. მარციშევსკი: 6—7 ს. შინაგანი, ბავშვებისა და ყვავილის აცრა.
რჩევა 50 კაპ. ღარიბებს უფასოდ, კონსულტაციები და ოპერაციები შეთანხმებით. სამკურნალოს დირექტორი
მედიც. დოქტორი ბ. ა. ნავასარდიანი.
(წ.—1—209)

### ექიმი
ე. ს. ხუნდაძე დაბრუნდა ქუთაისში
იღებს შინაგ., ქალ., პეპ. და სიფილ. ავადმყოფებს. დილით 9—11 ს., საღამოთი 6—7 საათ. ცოშაბათობით ღარიბებს უფასოდ იღებს. (ნ.—1)

საუცხოვო ახლად მოწყობილი
### სახელოსნო შევრვალ ქალაშვილისა
[illegible] მოსს ქალებისას და ბავშვებისას, ძალიან დაკლებულ ფასებში, სუფთად და საჩქაროდ. ადრესი: ხაზინის (კანნიჩესტვოს) ქუჩის კუთხეში, სომეხთა სემინარიის პირდაპირ, № 2, სახლი თუმანოვისა—ეკ. იმნაძესთან.
(6—527—2)

[illegible]

### იყიდება
ერთი ნაჭერი მიწა საბურთალოზე, ყოფილი გაბაშვილისა, ზომით 506 ოთხკ. საჟ., ძალიან ხელმისაწვდომ ფასში. იკითხეთ: ხაზინის (კაზნაჩეისტვოს) ქუჩაზე. თუმანოვის სახლში, № 2, ეკ. იმნაძესთან. (3—526—3)

### გამსესხებელი განყოფილება
სავ. სახ. ვ. ლისიციანისა და ამხ.
(სასახლის ქ., ს თავად-აზნაურობისა)
იძლევა ყოველ დღე 9-დან შუადღის 12ს. სესხს სხვა და სხვა ფასიან ნივთეულობის გირაოზე. იქვე შეიძლება ხელის მოწერა პაიზე. (3—3—1)

### დეპო ლამპებისა და ჭურჭლეულობის
(ნერსესოვისა და ბარონის ქუჩის კუთხე).
### დარჩო იაგორის ძის ეგანოვისა.
ვაჭრობა ბროლისა, ფაიანსისა, ფაიფურისა და მელხიორის საქონლით, აგრეთვე სპილენძისა და ემალ-გადაკრულ ნაწარმოებით, ლითონეულით და სამზარეულოს ნივთებით. სამოვარი ყოველ-გვარ ფასონისა.
### ფასები ხელმისაწვდენია.
(2—ზალ.—2)

### საწყობი ამერიკულ ვაზისა
„კლო-ყვურული“ ქუთაისში.
● უდიდესი ასორტიმენტი რუსეთში ●
1200 ამერიკული, ევროპიული და აზიური სასმელ და საჭმელ ყურძნის ჯიში და გიბრიდები.
მსურველთ უფასოდ ეგზავნებათ განმარტებანი და პრეის-კურანტები. (0—ნ.—1

### პროვოდნიკის

1897 წ. 1908 წ. 1888

### ამხანაგობა
რიგაში
საფაბრიკო საწყობი ამიერ-კავკასიისთვის ტფილისში
სოლოლაკის ქუჩა, № 4.
● იყიდება ნარდად და ცალობით: ●
ლინოლეუმი, აუარებელი ერთფერიანი უზორებიანი,
ასბესტის კარტონი,
ასბესტის და ტალკის ნაბივკა

### ახალი რამ:
„ს ა უ კ უ ნ ო“ ლინოლეუმი უზორებით, რომელიც მეორე მხარესაც-კი გადის და რომელიც თვითონ ლინოლეუმის გაცვეთამდე არ იცვლება.
ლ ი ნ კ რ უ ს ტ ა (საუკუნო შპალერი) ნაირ-ნაირი უზორებით, საუცხოვო თვალისთვის დასაუკეთესოე კონომიისთვის.